

ESRS 2

ინფორმაციის გამჟღავნების საერთო მოთხოვნები

შინაარსი

მიზანი

1. მომზადების საფუძველი
 - გამჟღავნების მოთხოვნა BP-1 - მდგრადობის ანგარიშგების მომზადების ზოგადი საფუძველი
 - გამჟღავნების მოთხოვნა BP-2 - სპეციფიკურ გარემოებებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება
2. მმართველობა
 - გამჟღავნების მოთხოვნა GOV-1 - ადმინისტრაციული, მართვისა და საზედამხედველო ორგანოების როლი
 - გამჟღავნების მოთხოვნა GOV-2 - ადმინისტრაციული, მართვისა და საზედამხედველო ორგანოებისთვის მიწოდებული ინფორმაცია და მდგრადობის საკითხები, რომელზეც მათ რეაგირება მოახდინეს
 - გამჟღავნების მოთხოვნა GOV-3 - მდგრადობასთან დაკავშირებული საქმიანობის შედეგების ინტეგრირება წამახალისებელ სქემებში
 - გამჟღავნების მოთხოვნა GOV-4 - კომპლექსური შემოწმების ანგარიში
 - გამჟღავნების მოთხოვნა GOV-5 - მდგრადობის ანგარიშგების პროცესთან დაკავშირებული რისკების მართვა და შიდა კონტროლის საშუალებები
3. სტრატეგია
 - გამჟღავნების მოთხოვნა SBM-1 - სტრატეგია, ბიზნესმოდელი და ღირებულებათა ჯაჭვი
 - გამჟღავნების მოთხოვნა SBM-2 - დაინტერესებული მხარეების ინტერესები და ხედვები
 - გამჟღავნების მოთხოვნა SBM-3 - არსებითი ზემოქმედება, რისკები და შესაძლებლობები და მათი ურთიერთქმედება სტრატეგიასა და ბიზნესმოდელთან
4. ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების მართვა
 - 4.1 არსებითობის შეფასების პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება
 - გამჟღავნების მოთხოვნა IRO-1 - არსებითი ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების გამოვლენისა და შეფასების პროცესის აღწერა
 - გამჟღავნების მოთხოვნა IRO-2 - ESRS სტანდარტების გამჟღავნების მოთხოვნები, რომლებსაც აკმაყოფილებს საწარმოს მდგრადობის ანგარიშგება
 - 4.2 პოლიტიკისა და ქმედებების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების მინიმალური მოთხოვნები
 - გამჟღავნების მინიმალური მოთხოვნა - პოლიტიკები - MDR-P - მდგრადობის არსებითი საკითხების მართვის მიზნით შემოღებული პოლიტიკები
 - გამჟღავნების მინიმალური მოთხოვნა - ქმედებები - MDR-A - მდგრადობის არსებით საკითხებთან დაკავშირებული ქმედებები და რესურსები
5. მდგრადობის მაჩვენებლები და სამიზნე მაჩვენებლები
 - გამჟღავნების მინიმალური მოთხოვნა - მდგრადობის მაჩვენებლები - MDR-M - მდგრადობის არსებით საკითხებთან დაკავშირებული მდგრადობის მაჩვენებლები
 - გამჟღავნების მინიმალური მოთხოვნა - სამიზნე მაჩვენებლები - MDR-T - პოლიტიკებისა და ქმედებების ეფექტიანობისთვის თვალყურის დევნება სამიზნე მაჩვენებლების საშუალებით

დანართი ა: გამოყენების მოთხოვნები

1. მომზადების საფუძველი

- გამყვანების მოთხოვნა BP-1 - მდგრადობის ანგარიშგების მომზადების ზოგადი საფუძველი
 - გამყვანების მოთხოვნა BP-2 - კონკრეტულ გარემოებებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამყვანება
2. მმართველობა
- გამყვანების მოთხოვნა GOV-1 - ადმინისტრაციული, მართვისა და საზედამხედველო ორგანოების როლი
 - გამყვანების მოთხოვნა GOV-2 - ადმინისტრაციული, მართვისა და საზედამხედველო ორგანოებისთვის მიწოდებული ინფორმაცია და მდგრადობის საკითხები, რომელზეც მათ რეაგირება მოახდინეს
 - გამყვანების მოთხოვნა GOV-3 - მდგრადობასთან დაკავშირებული საქმიანობის შედეგების ინტეგრირება წამახალისებელ სქემებში
 - გამყვანების მოთხოვნა GOV-4 - კომპლექსური შემოწმების ანგარიში
 - გამყვანების მოთხოვნა GOV-5 - მდგრადობის ანგარიშგების პროცესთან დაკავშირებული რისკების მართვა და შიდა კონტროლის საშუალებები
3. სტრატეგია
- გამყვანების მოთხოვნა SBM-1 - სტრატეგია, ბიზნესმოდელი და ღირებულებათა ჯაჭვი
 - გამყვანების მოთხოვნა SBM-2 - დაინტერესებული მხარეების ინტერესები და ხედვები
 - გამყვანების მოთხოვნა SBM-3 - არსებითი ზემოქმედება, რისკები და შესაძლებლობები და მათი ურთიერთქმედება სტრატეგიასა და ბიზნესმოდელთან
4. ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების მართვა
- გამყვანების მოთხოვნა IRO-2 - ESRS სტანდარტების გამყვანების მოთხოვნები, რომლებსაც აკმაყოფილებს საწარმოს მდგრადობის ანგარიშგება
 - გამყვანების მინიმალური მოთხოვნა - პოლიტიკები - MDR-P - მდგრადობის არსებითი საკითხების მართვის მიზნით შემოღებული პოლიტიკები
 - გამყვანების მინიმალური მოთხოვნა - ქმედებები - MDR-A - მდგრადობის არსებით საკითხებთან დაკავშირებული ქმედებები და რესურსები
5. მდგრადობის მაჩვენებლები და სამიზნე მაჩვენებლები
- გამყვანების მინიმალური მოთხოვნა - სამიზნე მაჩვენებლები - MDR-T - პოლიტიკებისა და ქმედებების ეფექტიანობისთვის თვალყურის დევნება სამიზნე მაჩვენებლების საშუალებით

დანართი ბ: საერთო და თემატური სტანდარტების ქვეპუნქტების სია, რომელიც გამომდინარეობს ევროკავშირის სხვა კანონმდებლობიდან

დანართი გ: თემატური ESRS სტანდარტების გამყვანების/გამოყენების მოთხოვნები, რომელიც გამოიყენება ESRS 2-თან – „ინფორმაციის გამყვანების საერთო მოთხოვნები“ - ერთად

მიზანი

1. წინამდებარე სტანდარტი ადგენს ინფორმაციის გამჟღავნების ისეთ მოთხოვნებს, რომელიც ყველა საწარმოზე ვრცელდება, მიუხედავად იმისა თუ რომელ სექტორში ოპერირებს იგი. ეს სტანდარტი ასევე ეხება მდგრადობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა თემებს (ე.ი. საერთო სტანდარტი). წინამდებარე სტანდარტი ასევე ფარავს ESRS 1-ის - “*ზოგადი მოთხოვნები*” – 1.2 განყოფილებაში - „*საანგარიშგებო სფეროები და პოლიტიკების, ქმედებების, სამიზნე მაჩვენებლებისა და მდგრადობის მაჩვენებლების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების მინიმალური მოთხოვნები*“ - წარმოდგენილ საანგარიშგებო სფეროებს.
2. როდესაც საწარმო ინფორმაციას ამ სტანდარტის მიხედვით ამჟღავნებს, მან თემატური სტანდარტების *გამჟღავნების მოთხოვნები* (მათი ქვეპუნქტების ჩათვლით) წინამდებარე სტანდარტის „გ“ დანართში - „*თემატური ESRS სტანდარტების გამჟღავნების/გამოყენების მოთხოვნები, რომელიც გამოიყენება ESRS 2-ის ზოგად მოთხოვნებთან ერთად*“ მოცემული ცხრილის შესაბამისად უნდა გამოიყენოს. საწარმომ „გ“ დანართის მოთხოვნები უნდა გამოიყენოს:
 - ა) ნებისმიერ შემთხვევაში, თემატური სტანდარტების ყველა იმ მოთხოვნისთვის, რომელიც IRO-1 *გამჟღავნების მოთხოვნას* - „*არსებითი ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების გამოვლენისა და შეფასების პროცესის აღწერა*“ უკავშირდება; და
 - ბ) „გ“ დანართში ჩამოთვლილი ყველა სხვა მოთხოვნისთვის, მხოლოდ მაშინ, თუ საწარმოს მიერ *არსებითობის* შეფასების შედეგად მდგრადობასთან დაკავშირებული თემა არსებითად განისაზღვრა (იხილეთ ESRS 1-ის მე-3 თავი - „*ორმაგი არსებითობა, როგორც მდგრადობის საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნების საფუძველი*“).

1. მომზადების საფუძველი

გამჟღავნების მოთხოვნა BP-1 - მდგრადობის ანგარიშგების მომზადების ზოგადი საფუძველი

3. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია მდგრადობის ანგარიშგების მომზადების ზოგადი საფუძველის შესახებ.
4. *გამჟღავნების* ამ მოთხოვნის მიზანია მომხმარებელს მიეცეს საშუალება ნათელი წარმოდგენა შეიქმნას იმის შესახებ, თუ როგორ ამზადებს საწარმო თავის *მდგრადობის ანგარიშგებას*, მათ შორის კონსოლიდაციის დონის და აღმავალი და დაღმავალი *ღირებულებათა ჯაჭვის* ინფორმაციის შესახებ, ასევე, სადაც შესაფერისია, იმის თაობაზე, გამოიყენა თუ არა საწარმომ შემდეგი პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებში მითითებული ინფორმაციის გამოტოვების შესაძლებლობა.
5. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:

- ა) **მდგრადობის ანგარიშგება** ინდივიდუალურად არის მომზადებული, თუ კონსოლიდირებულ საფუძველზე;
- ბ) კონსოლიდირებული მდგრადობის ანგარიშგების შემთხვევაში:
 - i. დადასტურება იმისა, რომ მდგრადობის ანგარიშგების კონსოლიდირების დონე იგივეა, რაც - ფინანსური ანგარიშგებისა, და, სადაც საჭიროა, განაცხადი იმაზე, რომ ანგარიშვალდებულ საწარმოს ფინანსური ანგარიშგების მომზადება არ ევალდება ან ანგარიშვალდებული საწარმო კონსოლიდირებულ მდგრადობის ანგარიშგებას 2013/34/EU დირექტივის 48i მუხლის შესაბამისად ამზადებს; და
 - ii. სადაც შესაფერისია, მითითება კონსოლიდაციაში შემავალ იმ შვილობილ საწარმოებზე, რომლებიც, 2013/34/EU დირექტივის 19a(9) ან 29a(8) მუხლებს შესაბამისად, ინდივიდუალური ან კონსოლიდირებული მდგრადობის ანგარიშგების მომზადების ვალდებულებისგან თავისუფლებიან;
- გ) რამდენად ფარავს მდგრადობის ანგარიშგება საწარმოს აღმავალ და დაღმავალ **ღირებულებათა ჯაჭვს** (იხილეთ ESRS 1-ის 5.1 განყოფილება - „*ანგარიშვალდებული საწარმო და ღირებულებათა ჯაჭვი*“);
- დ) გამოიყენა თუ არა საწარმომ ინფორმაციის ისეთი კონკრეტული ნაწილის გამოტოვების შესაძლებლობა, რომელიც შეეხება ინტელექტუალურ საკუთრებას, ნოუ-ჰაუს ან ინოვაციის შედეგებს (იხილეთ ESRS 1-ის 7.7 განყოფილება - „*საიდუმლო და სენსიტიური ინფორმაცია, ასევე ინფორმაცია ინტელექტუალური საკუთრების, ნოუ-ჰაუს ან ინოვაციის შედეგების შესახებ*“); და
- ე) გამოიყენა თუ არა საწარმომ 2013/34/EU დირექტივის 19a(3) და 29a(3) მუხლების შესაბამისად ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულებისგან გათავისუფლების შესაძლებლობა, რომელიც ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში მოქმედ საწარმოებს მოლაპარაკების პროცესში მიმდინარე მოვლენებისა და საკითხების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულებისგან ათავისუფლებს.

გამჟღავნების მოთხოვნა BP-2 - სპეციფიკურ გარემოებებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება

- 6. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს სპეციფიკურ გარემოებებთან დაკავშირებული ინფორმაცია.
- 7. გამჟღავნების ამ მოთხოვნის მიზანია მომხმარებელს მიეცეს საშუალება ნათელი წარმოდგენა შეიქმნას იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს ეს კონკრეტული გარემოებები **მდგრადობის ანგარიშგების** მომზადებაზე.
- 8. საწარმოს შეუძლია ეს საკითხი იმ ინფორმაციის გვერდით წარმოადგინოს, რომელსაც იგი შეეხება.

დროის პერიოდები

9. თუ საწარმო ESRS 1-ის 6.4 განყოფილებაში - „*მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი პერიოდების განსაზღვრა საანგარიშგებო მიზნებისთვის*“ - დადგენილ საშუალო და გრძელვადიან დროის პერიოდებს სხვაგვარად განსაზღვრავს, მან უნდა წარმოადგინოს:
- ა) საშუალო და გრძელვადიანი დროის პერიოდის საკუთარი განმარტება; და
 - ბ) ამ განმარტებების გამოყენების მიზეზები.

ღირებულებათა ჯაჭვთან დაკავშირებული შეფასებები

10. როდესაც *მდგრადობის მაჩვენებლებში* ასახულია არაპირდაპირი წყაროების (როგორცაა, მაგალითად, სექტორის საშუალო მაჩვენებლები და სხვა მსგავსი მონაცემები) გამოყენებით შეფასებული აღმავალი ან/და დაღმავალი *ღირებულებათა ჯაჭვის* მონაცემები, საწარმომ უნდა:
- ა) მოახდინოს მდგრადობის ამ მაჩვენებლების იდენტიფიცირება;
 - ბ) აღწეროს მათი მომზადების საფუძველი;
 - გ) აღწეროს შედეგად მიღებული სიზუსტის დონე; და
 - დ) სადაც შესაძლებელია, აღწეროს მათი სიზუსტის გასაუმჯობესებლად დაგეგმილი სამომავლო *ქმედებები* (იხილეთ ESRS 1-ის მე-5 თავი - „ღირებულებათა ჯაჭვი“).

შეფასების წყაროები და შედეგების განუსაზღვრელობა

11. ESRS 1-ის 7.2 განყოფილების - „*შეფასების წყაროები და შედეგების განუსაზღვრელობა*“ - შესაბამისად, საწარმომ უნდა:
- ა) მოახდინოს მის მიერ გამჟღავნებული *მდგრადობის მაჩვენებლებისა* და ფულადი ოდენობის იდენტიფიცირება, რომლებიც შეფასების განუსაზღვრელობის მაღალი დონით ხასიათდებიან;
 - ბ) თითოეულ ასეთ მდგრადობის რაოდენობრივ მაჩვენებელსა და ფულად ოდენობასთან მიმართებაში, საწარმომ უნდა:
 - i. გამჟღავნოს ინფორმაცია შეფასების განუსაზღვრელობის წყაროების შესახებ (მაგალითად, ოდენობების დამოკიდებულება მომავალი მოვლენის შედეგზე, შეფასების მეთოდზე ან საწარმოს აღმავალი ან/და დაღმავალი ღირებულებათა ჯაჭვიდან მიღებული მონაცემების ხელმისაწვდომობასა და ხარისხზე); და
 - ii. გამჟღავნოს ინფორმაცია შეფასებისას გაკეთებული დაშვებების, მიახლოებითი გამოთვლებისა და განსჯის შესახებ.

12. საპროგნოზო ინფორმაციის გამჟღავნებისას, საწარმოს შეუძლია მიუთითოს, რომ იგი ასეთ ინფორმაციას განუსაზღვრელად მიიჩნევს.

ცვლილებები მდგრადობის შესახებ ინფორმაციის მომზადებაში ან წარდგენაში

13. როდესაც, წინა საანგარიშგებო პერიოდ(ებ)თან შედარებით, იცვლება მდგრადობის შესახებ ინფორმაციის მომზადებისა და წარდგენის წესი (იხილეთ ESRS 1-ის 7.4 განყოფილება - „*ცვლილებები მდგრადობის შესახებ ინფორმაციის მომზადებაში ან წარდგენაში*“), საწარმომ უნდა:

- ა) ახსნას ეს ცვლილებები და მათი მიზეზები, მათ შორის, რატომ იძლევა მდგრადობის შეცვლილი მაჩვენებელი უფრო სასარგებლო ინფორმაციას;
- ბ) გაამჟღავნოს შესწორებული შესადარისი ციფრები, თუ ამის გაკეთება არაპრაქტიკული არ არის. თუ ერთი ან მეტი წინა პერიოდისთვის შესადარისი ინფორმაციის კორექტირება არაპრაქტიკულია, მაშინ საწარმომ ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს; და
- გ) გაამჟღავნოს განსხვავება წინა პერიოდში გამჟღავნებულ ციფრსა და შესწორებულ შესადარის ციფრს შორის.

წინა პერიოდების შეცდომების წარდგენა

14. როდესაც საწარმო წინა პერიოდის არსებით შეცდომებს გამოავლენს (იხილეთ ESRS 1-ის 7.5 განყოფილება - „*წინა პერიოდების შეცდომების წარდგენა*“), მან უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:

- ა) წინა პერიოდის არსებითი შეცდომის ხასიათი;
- ბ) შეცდომის გასწორება მდგრადობის ანგარიშგებაში წარდგენილი ყოველი წინა პერიოდისთვის, რამდენადაც ეს შესაძლებელია; და
- გ) თუ შეცდომის გასწორება შეუძლებელია - გარემოებები, რომელმაც ამ პირობის არსებობა გამოიწვია.

ინფორმაცია, რომელიც მომდინარეობს სხვა კანონმდებლობიდან ან მდგრადობის ანგარიშგებასთან დაკავშირებით ზოგადად მიღებული ოფიციალური დოკუმენტებიდან

15. როდესაც საწარმო *მდგრადობის ანგარიშგებაში* ისეთ ინფორმაციას ამჟღავნებს, რომელიც სხვა ისეთი კანონმდებლობიდან მომდინარეობს, რომელიც საწარმოს მდგრადობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებას ავალდებულებს, ან მომდინარეობს მდგრადობის ანგარიშგებასთან დაკავშირებით ზოგადად მიღებული სტანდარტებიდან ან ჩარჩო დოკუმენტებიდან (იხილეთ ESRS 1-ის 8.2 განყოფილება - „*მდგრადობის ანგარიშგების შინაარსი და სტრუქტურა*“), საწარმომ, ESRS სტანდარტებით დადგენილი ინფორმაციის გარდა, ეს ფაქტიც უნდა გაამჟღავნოს. თუ საწარმო მხოლოდ ნაწილობრივ იყენებს ანგარიშგების სხვა სტანდარტებსა და ჩარჩო დოკუმენტებს, მან ზუსტად უნდა მიუთითოს გამოყენებული სტანდარტის ან ჩარჩო დოკუმენტის კონკრეტულ პუნქტებზე.

ინფორმაციის ჩართვა სხვა დოკუმენტებზე მითითებით

16. როდესაც საწარმო ინფორმაციას სხვა დოკუმენტებზე მითითებით წარმოადგენს (იხილეთ ESRS 1-ის 9.1 განყოფილება - „*ინფორმაციის ჩართვა სხვა დოკუმენტებზე მითითებით*“), მან უნდა გაამჟღავნოს ESRS სტანდარტების გამჟღავნების იმ მოთხოვნების ჩამონათვალი ან *გამჟღავნების მოთხოვნით* განსაზღვრული ის კონკრეტული ქვეპუნქტები, რომლებიც მითითების საშუალებით არის ჩართული.

გარდამავალი ფაზის დებულებების გამოყენება ESRS 1-ის „გ“ დანართის შესაბამისად

17. თუ საწარმო ან ჯგუფი, რომელთა მიერ ფინანსური წლის განმავლობაში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა ბალანსის თარიღისთვის არ აღემატება 750-ს, გადაწყვეტს, გამოტოვოს ESRS 1-ის „გ“ დანართის შესაბამისად, ESRS E4-ის, ESRS S1-ის, ESRS S2-ის, ESRS S3-ის ან ESRS S4-ის მოთხოვნებით გათვალისწინებული ინფორმაცია, მან მაინც უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია იმის შესახებ, არსებითობის შეფასების შედეგად საწარმომ ESRS E4, ESRS S1, ESRS S2, ESRS S3 ან ESRS S4 სტანდარტით გათვალისწინებული შესაბამისი მდგრადობის თემა არსებითად მიიჩნია თუ არა. გარდა ამისა, თუ საწარმომ ამ თემებიდან ერთი ან მეტი არსებითად შეაფასა, საწარმომ თითოეულ ასეთ არსებით თემასთან დაკავშირებით:

- ა) უნდა გაამჟღავნოს ESRS 1-ის „ა“ დანართის გმ 16-ით გათვალისწინებული იმ საკითხების ჩამონათვალი (ე.ი. თემა, ქვეთემა ან ქვე-ქვეთემა), რომელიც არსებითად შეფასდა. მან, ასევე, მოკლედ უნდა აღწეროს თუ როგორ არის გათვალისწინებული ამ საკითხებთან დაკავშირებით საწარმოს ზემოქმედება მის *ბიზნესმოდელსა* და სტრატეგიაში. საწარმოს შეუძლია საკითხების იდენტიფიცირება თემის, ქვეთემის ან ქვე-ქვეთემის დონეზე მოახდინოს;
- ბ) მოკლედ უნდა აღწეროს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით მის მიერ დასახული დროში გაწერილი *სამიზნე მაჩვენებლები*, ამ მაჩვენებლების შესრულების პროგრესი და ეფუძნება თუ არა საწარმოს სამიზნე მაჩვენებლები *ბიომრავალფეროვნებასა* და *ეკოსისტემებთან* დაკავშირებით სარწმუნო სამეცნიერო მტკიცებულებებს;
- გ) მოკლედ უნდა აღწეროს მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით საწარმოში არსებული *პოლიტიკები*;
- დ) მოკლედ უნდა აღწეროს ის *ქმედებები*, რომელიც მან განახორციელა მოცემულ საკითხთან დაკავშირებული არსებული ან პოტენციური უარყოფითი ზემოქმედების გამოვლენის, მონიტორინგის, თავიდან არიდების, შერბილების, რემედიაციის ან დასრულების მიზნით და ასეთი ქმედებების შედეგები; და
- ე) უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია მოცემული საკითხებისთვის შესაბამისი *მდგრადობის მაჩვენებლების* შესახებ.

2. მმართველობა

18. წინამდებარე თავის მიზანია გამჟღავნების ისეთი მოთხოვნების დაწესება, რომელიც მომხმარებელს ნათელ წარმოდგენას შეუქმნის *მდგრადობის საკითხების* მონიტორინგის, მართვისა და ზედამხედველობის მიზნით საწარმოში დაწესებული მმართველობითი პროცესების, კონტროლებისა და პროცედურების შესახებ.

გამჟღავნების მოთხოვნა GOV-1 - ადმინისტრაციული, მართვისა და საზედამხედველო ორგანოების როლი

19. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია ადმინისტრაციული, მართვისა და საზედამხედველო ორგანოების შემადგენლობის, მათი როლებისა და პასუხისმგებლობების, ასევე მდგრადობის საკითხებთან დაკავშირებით მათი კომპეტენციისა და უნარ-ჩვევების გამოყენების შესაძლებლობის შესახებ.
20. *გამჟღავნების ამ მოთხოვნის* მიზანია მომხმარებელს მიეცეს საშუალება ნათელი წარმოდგენა შეიქმნას:
- ა) *ადმინისტრაციული, მართვისა და საზედამხედველო ორგანოების* შემადგენლობასა და მრავალფეროვნებაზე;
 - ბ) არსებითი *ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების* მართვის პროცესზე ზედამხედველობის განხორციელების თვალსაზრისით *ადმინისტრაციული, მართვისა და საზედამხედველო ორგანოების* როლებსა და პასუხისმგებლობებზე, მათ შორის ამ პროცესებში ხელმძღვანელობის როლზე; და
 - გ) *მდგრადობის საკითხებთან* დაკავშირებით საწარმოს ადმინისტრაციული, მართვისა და საზედამხედველო ორგანოების კომპეტენციასა და უნარ-ჩვევებზე და ასეთი კომპეტენციისა და უნარ-ჩვევების გამოყენების შესაძლებლობაზე.
21. საწარმომ საკუთარი ადმინისტრაციული, მართვისა და საზედამხედველო ორგანოების წევრების შემადგენლობისა და მრავალფეროვნების შესახებ უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:
- ა) აღმასრულებელი და არააღმასრულებელი უფლებამოსილების მქონე წევრების რაოდენობა;
 - ბ) *დასაქმებულთა* და სხვა მომუშავეთა წარმომადგენლობა;
 - გ) მათი გამოცდილება, რომელიც შეესაბამება საწარმოს სექტორს, პროდუქციასა და გეოგრაფიულ მდებარეობას;

- დ) პროცენტული მაჩვენებლები სქესის ან სხვა ისეთი ასპექტის მიხედვით, რომელსაც საწარმო საჭიროდ მიიჩნევს. საბჭოს გენდერული მრავალფეროვნების¹ მაჩვენებელი უნდა გამოითვალოს საბჭოს წევრი ქალებისა და მამაკაცების საშუალო თანაფარდობით; და
- ე) **საბჭოს დამოუკიდებელი წევრების** პროცენტული მაჩვენებელი. ერთდონიანი საბჭოს მოდელის მქონე საწარმოებისთვის, ამ შემთხვევაში მოიაზრება საბჭოს დამოუკიდებელი არაადმინისტრაციული წევრების პროცენტული მაჩვენებელი. ორდონიანი საბჭოს მოდელის მქონე საწარმოებისთვის, ამ შემთხვევაში მოიაზრება საზედამხედველო ორგანოს დამოუკიდებელი წევრების პროცენტული მაჩვენებელი.

22. საწარმომ **ადმინისტრაციული, მართვისა და საზედამხედველო ორგანოების** როლებისა და პასუხისმგებლობების შესახებ უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:

- ა) **ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების** ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი **ადმინისტრაციული, მართვისა და საზედამხედველო ორგანოების** დასახელება (მაგალითად, საბჭოს კომიტეტი ან მსგავსი) ან ამ ორგანოში შემავალი პირ(ებ)ის ვინაობა;
- ბ) როგორ აისახება ზემოქმედებაზე, რისკებსა და შესაძლებლობებზე თითოეული ორგანოს ან პირის პასუხისმგებლობა საწარმოს უფლებამოსილებაში, საბჭოს მანდატებში ან სხვა შესაბამის **პოლიტიკაში**;
- გ) ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების მონიტორინგის, მართვისა და ზედამხედველობის მიზნით დაწესებულ მმართველობით პროცესებში, კონტროლსა და პროცედურებში ხელმძღვანელობის როლის აღწერა, მათ შორის:

1 ეს ინფორმაცია ავსებს, ერთი მხრივ, საფინანსო ბაზრის იმ მონაწილეთა საინფორმაციო საჭიროებებს, რომლებიც ექვემდებარებიან (EU) 2019/2088 რეგულაციას, ვინაიდან იგი მომდინარეობს ძირითად უარყოფით ზემოქმედებასთან დაკავშირებული დამატებითი ინდიკატორიდან, რომელიც დადგენილია 2022 წლის 6 აპრილის (EU) 2022/1288 კომისიის დელეგირებული რეგულაციის (კომისიის დელეგირებული რეგულაცია (EU) 2022/1288 მდგრადი ინვესტიციების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების წესებთან დაკავშირებით, რომელიც ავსებს ევროპარლამენტისა და საბჭოს (EU) 2019/2088 რეგულაციას - Commission Delegated Regulation (EU) 2022/1288 of 6 April 2022 supplementing Regulation (EU) 2019/2088 of the European Parliament and of the Council) I დანართის I ცხრილში მოცემული #13 ინდიკატორით („გენდერული მრავალფეროვნება საბჭოში“ – “Board gender diversity”), და, მეორე მხრივ, „ბენჩმარკის“ ადმინისტრატორების საინფორმაციო საჭიროებებს, გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) ფაქტორების გამჟღავნების საკითხში, რომელიც ექვემდებარება 2020 წლის 17 ივლისის (EU) 2020/1816 კომისიის დელეგირებულ რეგულაციას (კომისიის დელეგირებული რეგულაცია (EU) 2020/1816, რომელიც ავსებს ევროპარლამენტისა და საბჭოს (EU) 2016/1011 რეგულაციას - Commission Delegated Regulation (EU) 2020/1816 of 17 July 2020 supplementing Regulation (EU) 2016/1011 of the European Parliament and of the Council), როგორც ეს დადგენილია II დანართის 1-ელ და მე-2 განყოფილებებში მოცემული ინდიკატორით - „საბჭოს წევრი ქალებისა და მამაკაცების საშუალო შეწონილი თანაფარდობა“ (“Weighted average ratio of female to male board members”).

2 ეს ინფორმაცია ავსებს „ბენჩმარკის“ ადმინისტრატორების საინფორმაციო საჭიროებებს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) ფაქტორების გამჟღავნების საკითხში, რომელიც ექვემდებარება (EU) 2020/1816 რეგულაციას, როგორც ეს დადგენილია II დანართის I განყოფილებაში მოცემული ინდიკატორით „საბჭოს დამოუკიდებელი წევრების საშუალო შეწონილი პროცენტული მაჩვენებელი“ (“Weighted average percentage of board members who are independent”).

- i. არის თუ არა ეს როლი დელეგირებული ხელმძღვანელობის დონის კონკრეტულ თანამდებობაზე ან კომიტეტზე და როგორ ხდება ამ თანამდებობაზე ან კომიტეტზე ზედამხედველობა;
 - ii. ინფორმაცია ადმინისტრაციული, მართვისა და საზედამხედველო ორგანოების წინაშე ანგარიშვალდებულების იერარქიული სტრუქტურის შესახებ;
 - iii. გამოიყენება თუ არა ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების მართვასთან მიმართებით შესაბამისი პროცედურები და კონტროლის საშუალებები და, თუ ასეა, როგორ არის ისინი ინტეგრირებული სხვა შიდა ფუნქციებთან; და
- დ) როგორ ახორციელებენ ადმინისტრაციული, მართვისა და საზედამხედველო ორგანოები და უმაღლესი ადმასრულებელი ხელმძღვანელობა არსებით ზემოქმედებასთან, რისკებთან და შესაძლებლობებთან დაკავშირებული **სამიზნე მაჩვენებლების** დასახვის ზედამხედველობას და როგორ ახდენენ ისინი ამ მიმართულებით მიღწეული პროგრესის მონიტორინგს.
23. საწარმოს მიერ გამჟღავნებული ინფორმაცია უნდა აღწერდეს, თუ როგორ ადგენენ **ადმინისტრაციული, მართვისა და საზედამხედველო ორგანოები** აქვთ თუ არა შესაბამის პირებს **მდგრადობის საკითხების** ზედამხედველობისთვის შესაფერისი უნარ-ჩვევები და კომპეტენცია და განავითარებენ თუ არა ისინი მათ, კერძოდ:
- ა) მდგრადობის საკითხებთან დაკავშირებული კომპეტენცია, რომელსაც ორგანოები, მთლიანობაში, უშუალოდ ფლობენ ან შეუძლიათ სხვების დახმარებით მისი მიღება, მაგალითად ექსპერტების დახმარებით ან ტრენინგების საშუალებით; და
 - ბ) როგორ უკავშირდება ეს უნარ-ჩვევები და კომპეტენცია საწარმოს ზემოქმედებას, რისკებსა და შესაძლებლობებს.

გამჟღავნების მოთხოვნა GOV-2 - ადმინისტრაციული, მართვისა და საზედამხედველო ორგანოებისთვის მიწოდებული ინფორმაცია და მდგრადობის საკითხები, რომელზეც მათ რეაგირება მოახდინეს

24. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ხდება მდგრადობის საკითხებთან დაკავშირებით ადმინისტრაციული, მართვისა და საზედამხედველო ორგანოების ინფორმირება და როგორ ახდენენ ისინი ამ საკითხებზე რეაგირებას საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.
25. *გამჟღავნების ამ მოთხოვნის* მიზანია მომხმარებელს მიეცეს საშუალება ნათელი წარმოდგენა შეიქმნას იმაზე, თუ როგორ ხდება **მდგრადობის საკითხებთან** დაკავშირებით **ადმინისტრაციული, მართვისა და საზედამხედველო ორგანოების** ინფორმირება და რა ინფორმაციაზე და საკითხებზე მოახდინეს მათ რეაგირება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ეს, თავის მხრივ, საშუალებას აძლევს მომხმარებელს იცოდეს, იყვნენ თუ არა ამ ორგანოების წევრები შესაბამისად ინფორმირებულნი და შეძლეს თუ არა მათ თავიანთი როლების შესრულება.

26. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:

- ა) არიან თუ არა **ადმინისტრაციული, მართვისა და საზედამხედველო ორგანოები**, მათ შორის მათი შესაბამისი კომიტეტები, ინფორმირებული არსებითი **ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების** (იხილეთ წინამდებარე სტანდარტის *გამჟღავნების მოთხოვნა - IRO-1 - არსებითი ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების გამოვლენისა და შეფასების პროცესების აღწერა*), მათი კომპლექსური შემოწმების განხორციელების საკითხისა და მათზე რეაგირების მიზნით დადგენილი **პოლიტიკების, ქმედებების, მდგრადობის მაჩვენებლებისა და სამიზნე მაჩვენებლების** შედეგებისა და ეფექტიანობის შესახებ და ვის მიერ და რამდენად ხშირად ხდება ეს;
- ბ) როგორ ითვალისწინებენ **ადმინისტრაციული, მართვისა და საზედამხედველო ორგანოები** ზემოქმედებას, რისკებსა და შესაძლებლობებს საწარმოს სტრატეგიის, ძირითად ტრანზაქციებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების და რისკის მართვის პროცესების ზედამხედველობისას, მათ შორის განიხილეს თუ არა მათ ასეთ ზემოქმედებასთან, რისკებთან და შესაძლებლობებთან დაკავშირებული კომპრომისები; და
- გ) იმ არსებითი ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების ჩამონათვალი, რომელზეც ადმინისტრაციულმა, მართვისა და საზედამხედველო ორგანოებმა ან მათმა შესაბამისმა კომიტეტებმა რეაგირება მოახდინეს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

გამჟღავნების მოთხოვნა GOV-3 - მდგრადობასთან დაკავშირებული საქმიანობის შედეგების ინტეგრირება წამახალისებელ სქემებში

27. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია მდგრადობასთან დაკავშირებული საქმიანობის შედეგების წამახალისებელ სქემებში ინტეგრირების შესახებ.
28. *გამჟღავნების ამ მოთხოვნის* მიზანია მომხმარებელს მიეცეს საშუალება ნათელი წარმოდგენა შეიქმნას იმაზე, სთავაზობენ თუ არა **ადმინისტრაციული, მართვისა და საზედამხედველო ორგანოების** წევრებს ისეთ წამახალისებელ სქემებს, რომელიც **მდგრადობის საკითხებზეა** მიბმული.
29. თუ საწარმო ადმინისტრაციული, მართვისა და საზედამხედველო ორგანოების წევრებს სთავაზობს მდგრადობის საკითხებზე მიბმულ წამახალისებელ სქემებსა და ანაზღაურების პოლიტიკას, მან, ამასთან დაკავშირებით, უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:
- ა) წამახალისებელი სქემების ძირითადი მახასიათებლების აღწერა;
 - ბ) ფასდება თუ არა საქმიანობის შედეგები მდგრადობასთან დაკავშირებული კონკრეტული სამიზნე მაჩვენებლების ან/და ზემოქმედების თვალსაზრისით, და, თუ ასეა, რომლებით;
 - გ) მიიჩნევა თუ არა მდგრადობის საკითხებთან დაკავშირებული საქმიანობის შედეგების **მდგრადობის მაჩვენებლები** საქმიანობის შედეგების საორიენტაციო მაჩვენებლებად ან შედის თუ არა ის ანაზღაურების პოლიტიკაში და როგორ ხდება ეს;

- დ) ცვლადი ანაზღაურების წილი, რომელიც დამოკიდებულია მდგრადობასთან დაკავშირებულ სამიზნე მაჩვენებლებთან ან/და ზემოქმედებასთან; და
- ე) საწარმოს ორგანიზაციული დონე, რომელზეც ხდება წამახალისებელი სქემების პირობების დამტკიცება და განახლება.

გამჟღავნების მოთხოვნა GOV-4 - კომპლექსური შემოწმების ანგარიში

- 30. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს სქემატური ინფორმაცია მდგრადობის ანგარიშგებაში ასახული კომპლექსური შემოწმების პროცესის შესახებ.
- 31. *გამჟღავნების ამ მოთხოვნის* მიზანია მომხმარებელს მიეცეს საშუალება მარტივად აღიქვას **მდგრადობის საკითხებთან** დაკავშირებით საწარმოში არსებული კომპლექსური შემოწმების პროცესი.
- 32. ESRS 1-ის მე-4 თავში - „*კომპლექსური შემოწმება*“ - წარმოდგენილი კომპლექსური შემოწმების ძირითადი ასპექტები და საფეხურები ESRS სტანდარტების არაერთ საერთო და თემატურ *გამჟღავნების მოთხოვნასთან* არის დაკავშირებული. საწარმომ უნდა წარმოადგინოს სქემა, სადაც ახსნილია თუ როგორ და სად არის ასახული მდგრადობის ანგარიშგებაში საწარმოს მიერ კომპლექსური შემოწმების პროცესის ძირითადი ასპექტებისა და საფეხურების გამოყენება, რათა კომპლექსური შემოწმების პროცესთან დაკავშირებით საწარმოში არსებული რეალური პრაქტიკის წარმოდგენა იყოს შესაძლებელი³.
- 33. *გამჟღავნების ეს მოთხოვნა* არ აწესებს კონკრეტული ქვეყნის მოთხოვნებს კომპლექსურ შემოწმებასთან დაკავშირებული ქმედებების თვალსაზრისით, ასევე არ აფართოებს ან არ ცვლის **ადმინისტრაციული, მართვისა და საზედამხედველო ორგანოების** როლებს, რომელიც სხვა კანონმდებლობით თუ რეგულაციებით არის დადგენილი.

გამჟღავნების მოთხოვნა GOV-5 - მდგრადობის ანგარიშგების პროცესთან დაკავშირებული რისკების მართვა და შიდა კონტროლის საშუალებები

- 34. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია მდგრადობის ანგარიშგების პროცესთან დაკავშირებული რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემის შესახებ.
- 35. *გამჟღავნების ამ მოთხოვნის* მიზანია მომხმარებელს მიეცეს საშუალება ნათელი წარმოდგენა შეიქმნას მდგრადობის ანგარიშგებასთან დაკავშირებული რისკების მართვისა და შიდა კონტროლის პროცესების შესახებ.

³ ეს ინფორმაცია ავსებს საფინანსო ბაზრის იმ მოწინააღმდეგეთა საინფორმაციო საჭიროებებს, რომლებიც ექვემდებარებიან (EU) 2019/2088 რეგულაციას, ვინაიდან იგი მომდინარეობს ძირითად უარყოფით ზემოქმედებასთან დაკავშირებული დამატებითი ინდიკატორიდან, რომელიც დადგენილია მდგრადი ინვესტიციების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების წესებთან დაკავშირებით (EU) 2022/1288 კომისიის დელეგირებული რეგულაციის (Commission Delegated Regulation (EU) 2022/1288) I დანართის III ცხრილში მოცემული #10 ინდიკატორით („კომპლექსური შემოწმების არარსებობა“ – “Lack of due diligence”).

36. საწარმომ უნდა გაამყლავნოს შემდეგი ინფორმაცია:

- ა) მდგრადობის ანგარიშგებასთან დაკავშირებით საწარმოში არსებული რისკების მართვისა და შიდა კონტროლის პროცესებისა და სისტემების მასშტაბი, ძირითადი მახასიათებლები და კომპონენტები;
- ბ) რისკის შეფასების მიღებული მიდგომა, მათ შორის რისკების პრიორიტეტულობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- გ) გამოვლენილი ძირითადი რისკები და მათი შერბილების სტრატეგიები, მათ შორის კონტროლის შესაბამისი საშუალებები;
- დ) აღწერა იმისა, თუ როგორ ახდენს საწარმო მდგრადობის ანგარიშგების პროცესთან დაკავშირებული შიდა კონტროლებისა და რისკების შეფასების მიგნებების ინტეგრირებას შესაბამის შიდა ფუნქციებსა და პროცესებში; და
- ე) აღწერა იმისა, თუ როგორ ხდება „დ“ პუნქტში მითითებული მიგნებების შესახებ პერიოდული ანგარიშგება *ადმინისტრაციული, მართვისა და საზედამბედველო ორგანოების* წინაშე.

3. სტრატეგია

37. წინამდებარე თავი აწესებს გამყლავნების ისეთ მოთხოვნებს, რომელიც მომხმარებელს ნათელ წარმოდგენას შეუქმნის:

- ა) საწარმოს სტრატეგიის იმ ელემენტებზე, რომლებიც უკავშირდება *მდგრადობის საკითხებს*, საწარმოს *ბიზნესმოდელს* და *ღირებულებათა ჯაჭვს* ან გავლენას ახდენს მათზე;
- ბ) თუ როგორ ხდება *დაინტერესებული მხარეების* ინტერესებისა და ხედვების გათვალისწინება საწარმოს სტრატეგიასა და ბიზნესმოდელში; და
- გ) საწარმოს მიერ არსებითი *ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების* შეფასების შედეგებზე, მათ შორის როგორ განაპირობებენ ისინი საწარმოს სტრატეგიასა და ბიზნესმოდელს.

გამყლავნების მოთხოვნა SBM-1 - სტრატეგია, ბიზნესმოდელი და ღირებულებათა ჯაჭვი

- 38. საწარმომ უნდა გაამყლავნოს ინფორმაცია საკუთარი სტრატეგიის იმ ელემენტების შესახებ, რომლებიც უკავშირდება მდგრადობის საკითხებს, საწარმოს ბიზნესმოდელს და ღირებულებათა ჯაჭვს ან გავლენას ახდენს მათზე.
- 39. გამყლავნების ამ მოთხოვნის მიზანია, აღწეროს საწარმოს ზოგადი სტრატეგიის ის ძირითადი ელემენტები, რომლებიც უკავშირდება *მდგრადობის საკითხებს* ან გავლენას ახდენს მათზე, ასევე საწარმოს *ბიზნესმოდელისა* და *ღირებულებათა ჯაჭვის* ძირითადი ელემენტები, რათა

მომხმარებელს ნათელი წარმოდგენა შეექმნას საწარმოს წინაშე არსებული **ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების** და მათი წარმოშობის წყაროების შესახებ.

40. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია საკუთარი ზოგადი სტრატეგიის იმ ძირითადი ელემენტების შესახებ, რომელიც უკავშირდება **მდგრადობის საკითხებს** ან გავლენას ახდენს მათზე:

- ა) შემდეგი ინფორმაციის აღწერა:
 - i. შეთავაზებული პროდუქციის ან/და მომსახურების მნიშვნელოვანი ჯგუფები, მათ შორის, მასთან დაკავშირებით საანგარიშგებო პერიოდში მომხდარი ცვლილებები (ინფორმაცია ახალი/ამოღებული პროდუქციის ან მომსახურების შესახებ);
 - ii. მნიშვნელოვანი ბაზრები ან/და კლიენტების მნიშვნელოვანი ჯგუფები, რომლებსაც საწარმო უწევს მომსახურებას, მათ შორის, მასთან დაკავშირებით საანგარიშგებო პერიოდში მომხდარი ცვლილებები (ინფორმაცია ახალი/დათმობილი ბაზრების ან/და კლიენტთა ჯგუფების შესახებ);
 - iii. **დასაქმებულთა** რიცხოვნობა გეოგრაფიული არეალის მიხედვით;
 - iv. როდესაც ეს საჭირო და არსებითია, პროდუქცია და მომსახურება, რომელიც გარკვეულ ბაზრებზე აკრძალულია;
- ბ) მთლიანი ამონაგების ჩაშლა ESRS სტანდარტებით დადგენილი მნიშვნელოვანი სექტორების მიხედვით, ისე როგორც ეს საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაშია წარმოდგენილი. როდესაც საწარმო ფინანსურ ანგარიშგებას სეგმენტების მიხედვით წარადგენს, ფასს 8-ის - „საოპერაციო სეგმენტები“ - შესაბამისად, მან სექტორების მიხედვით დაყოფილი ინფორმაცია ამონაგების შესახებ ფასს 8-ის შესაბამისად წარმოდგენილ ინფორმაციასთან უნდა შეაჯეროს.
- გ) 40(ბ) პუნქტის შესაბამისად ასახული სექტორების გარდა, ESRS სტანდარტებით გათვალისწინებული სხვა დამატებითი მნიშვნელოვანი სექტორების ჩამონათვალი, როგორებიცაა, მაგალითად, საქმიანობები, რომლებიც წარმოშობს კომპანიათაშორის ამონაგებს, სადაც საწარმო მნიშვნელოვან საქმიანობებს ახორციელებს, ან სადაც იგი უკავშირდება, ან შეიძლება უკავშირდებოდეს, არსებით ზემოქმედებას. ასეთი დამატებითი სექტორების იდენტიფიცირების პროცესი საწარმოს მიერ **არსებითობის** შეფასებისა და სექტორისთვის სპეციფიკური არსებითი ინფორმაციის გამჟღავნების პროცესს უნდა შეესაბამებოდეს.
- დ) საჭიროების შემთხვევაში, განაცხადი, რომელშიც, დაკავშირებულ ამონაგებთან ერთად, მითითებული იქნება, რომ საწარმო აქტიურია:

- i. **წიაღისეული საწვავის** (ქვანახშირი, ნავთობი და გაზი) სექტორში⁴ (ე.ი საწარმო ამონაგებს იღებს ევროპარლამენტისა და საბჭოს (EU) 2018/1999 რეგულაციის⁵ მე-2 მუხლის 62-ე პუნქტში განსაზღვრული წიაღისეული საწვავის ძიების, საბადოთა დამუშავების, ამოღების/მოპოვების, წარმოების, დამუშავების, შენახვის, გაწმენდის ან დისტრიბუციის, მათ შორის ტრანსპორტირების, შენახვის და ვაჭრობის წარმოების შედეგად), ასევე, ინფორმაცია ქვანახშირიდან, ნავთობიდან და გაზიდან მიღებული ამონაგების შესახებ, ცალ-ცალკე, დეზაგრეგირებული სახით, აგრეთვე ინფორმაცია იმ ამონაგების შესახებ, რომელიც საწარმომ მიიღო *ტაქსონომიის* შესაბამისი, წიაღისეულ გაზთან დაკავშირებული ეკონომიკური საქმიანობიდან, 2021/2178 კომისიის დელეგირებული რეგულაციის⁶ 8(7)(a) მუხლის მოთხოვნის შესაბამისად;
- ii. ქიმიკატების წარმოებაში⁷, ე.ი. საქმიანობაში, რომელიც მითითებულია (EC) No 1893/2006 რეგულაციის I დანართის 20.2 დანაყოფში;
- iii. იარაღის⁸ ისეთი სახეობების მიმართულებით, როგორებიცაა ქვეითსაწინააღმდეგო ნადმები, კასეტური საბრძოლო მასალები და ქიმიური და ბიოლოგიური იარაღები; ან/და

4 ეს ინფორმაცია ავსებს საფინანსო ბაზრის იმ მონაწილეთა საინფორმაციო საჭიროებებს, რომლებიც ექვემდებარებიან (EU) 2019/2088 რეგულაციას, ვინაიდან იგი მომდინარეობს ძირითად უარყოფით ზემოქმედებასთან დაკავშირებული დამატებითი ინდიკატორიდან, რომელიც დადგენილია მდგრადი ინვესტიციების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების წესებთან დაკავშირებით (EU) 2022/1288 კომისიის დელეგირებული რეგულაციის (Commission Delegated Regulation (EU) 2022/1288) I დანართის I ცხრილში მოცემული #4 ინდიკატორით („კავშირი წიაღისეული საწვავის სექტორში აქტიურ კომპანიებთან“ - “Exposure to companies active in the fossil fuel sector”)

5 ევროპარლამენტისა და საბჭოს 2018 წლის 11 დეკემბრის რეგულაცია (EU) 2018/1999 - Regulation (EU) 2018/1999 of the European Parliament and of the Council of 11 December 2018 on the Governance of the Energy Union and Climate Action, amending Regulations (EC) No 663/2009 and (EC) No 715/2009 of the European Parliament and of the Council, Directives 94/22/EC, 98/70/EC, 2009/31/EC, 2009/73/EC, 2010/31/EU, 2012/27/EU and 2013/30/EU of the European Parliament and of the Council, Council Directives 2009/119/EC and (EU) 2015/652 and repealing Regulation (EU) No 525/2013 of the European Parliament and of the Council (OJ L 328, 21.12.2018, p. 1).

6 2021 წლის 6 ივლისის კომისიის დელეგირებული რეგულაცია (EU) 2021/2178 - Commission Delegated Regulation (EU) 2021/2178 of 6 July 2021 supplementing Regulation (EU) 2020/852 of the European Parliament and of the Council by specifying the content and presentation of information to be disclosed by undertakings subject to Articles 19a or 29a of Directive 2013/34/EU concerning environmentally sustainable economic activities, and specifying the methodology to comply with that disclosure obligation (OJ L 443, 10.12.2021, p. 9).

7 ეს ინფორმაცია ავსებს საფინანსო ბაზრის იმ მონაწილეთა საინფორმაციო საჭიროებებს, რომლებიც ექვემდებარებიან (EU) 2019/2088 რეგულაციას, ვინაიდან იგი მომდინარეობს ძირითად უარყოფით ზემოქმედებასთან დაკავშირებული დამატებითი ინდიკატორიდან, რომელიც დადგენილია მდგრადი ინვესტიციების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების წესებთან დაკავშირებით (EU) 2022/1288 კომისიის დელეგირებული რეგულაციის (Commission Delegated Regulation (EU) 2022/1288) I დანართის II ცხრილში მოცემული #9 ინდიკატორით („ინვესტიციები ქიმიკატების მწარმოებელ კომპანიებში“ - “Investments in companies producing chemicals”)

8 ეს ინფორმაცია ავსებს საფინანსო ბაზრის იმ მონაწილეთა საინფორმაციო საჭიროებებს, რომლებიც ექვემდებარებიან (EU) 2019/2088 რეგულაციას, ვინაიდან იგი მომდინარეობს ძირითად უარყოფით ზემოქმედებასთან დაკავშირებული დამატებითი ინდიკატორიდან, რომელიც დადგენილია მდგრადი ინვესტიციების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების წესებთან დაკავშირებით (EU) 2022/1288 კომისიის დელეგირებული რეგულაციის (Commission Delegated Regulation (EU) 2022/1288) I დანართის I ცხრილში მოცემული #14 ინდიკატორით („კავშირი იარაღის ისეთ სახეობებთან, როგორებიცაა ქვეითსაწინააღმდეგო ნადმები, კასეტური საბრძოლო მასალები და ქიმიური და ბიოლოგიური იარაღები“ - “Exposure to controversial weapons (anti-personnel mines, cluster munitions, chemical weapons and biological weapons”)

iv. თამბაქოს მოყვანისა და წარმოების მიმართულებით;

- ე) მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული საწარმოს მიზნები პროდუქციისა და მომსახურების მნიშვნელოვანი ჯგუფების, კლიენტთა კატეგორიების, გეოგრაფიული არეალებისა და **დაინტერესებულ მხარეებთან** ურთიერთობის თვალსაზრისით;
 - ვ) მდგრად განვითარებასთან დაკავშირებულ მიზნებთან მიმართებაში საწარმოს მიმდინარე პროდუქციის ან/და მომსახურების, მნიშვნელოვანი ბაზრებისა და კლიენტთა მნიშვნელოვანი ჯგუფების შეფასება; და
 - ზ) საწარმოს სტრატეგიის ის ელემენტები, რომლებიც უკავშირდება მდგრადობის საკითხებს ან გავლენას ახდენს მათზე, მათ შორის მნიშვნელოვანი სამომავლო გამოწვევები, კრიტიკული მნიშვნელობის გადაწყვეტები ან პროექტები, რომლებიც უნდა განხორციელდეს თუ იგი მდგრადობის ანგარიშგების თვალსაზრისით შესაფერისია.
41. თუ საწარმო მოქმედებს ევროკავშირის ისეთ წევრ ქვეყანაში, რომელიც 2013/34/EU დირექტივის მე-18 მუხლის, 1-ელი პუნქტის, (a) ქვეპუნქტში¹⁰ მითითებული ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნისგან გათავისუფლების უფლებას იძლევა და თუ საწარმო ამ უფლებას გამოიყენებს, მას შეუძლია გამოტოვოს 40(ბ) პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა ამონაგებზე ინფორმაციის მნიშვნელოვანი ESRS სექტორების მიხედვით ჩაშლის შესახებ. ასეთ შემთხვევაში საწარმომ მისთვის მნიშვნელოვანი ESRS სექტორების ჩამონათვალი მაინც უნდა გაამჟღავნოს.
42. საწარმომ უნდა აღწეროს საკუთარი **ბიზნესმოდელი** და **ღირებულებათა ჯაჭვი**. კერძოდ, მან უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია შემდეგზე:
- ა) საწყისი რესურსები და საწარმოს მიდგომა მათი შეგროვების, დამუშავებისა და დაცვის მიმართულებით;
 - ბ) საბოლოო პროდუქტი და შედეგები კლიენტებისთვის, ინვესტორებისთვის და სხვა **დაინტერესებული მხარეებისთვის** არსებული და მოსალოდნელი სარგებლის თვალსაზრისით; და
 - გ) მისი აღმავალი და დაღმავალი **ღირებულებათა ჯაჭვის** მთავარი მახასიათებლები, ასევე საწარმოს პოზიცია ამ ღირებულებათა ჯაჭვში, მათ შორის ინფორმაცია მთავარი ბიზნეს-აქტორების (როგორებიცაა, ძირითადი **მომწოდებლები**, კლიენტები, სადისტრიბუციო არხები და ანგარიშგების **საბოლოო მომხმარებლები**) და საწარმოსთან მათი ურთიერთობის შესახებ. თუ საწარმოს ღირებულებათა მრავალი

9 ეს ინფორმაცია ავსებს „ბენჩმარკის“ ადმინისტრატორების საინფორმაციო საჭიროებებს, გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) ფაქტორების გამჟღავნების საკითხში, რომელიც ექვემდებარება (EU) 2020/1818 რეგულაციას (Regulation (EU) 2020/1818), როგორც ეს დადგენილია 12.1 მუხლის b) პუნქტით.

10 2013/34/EU დირექტივის მე-18 მუხლის, 1-ელი პუნქტის (a) ქვეპუნქტი: „სუფთა ბრუნვა, რომელიც დაყოფილია საქმიანობის კატეგორიების და გეოგრაფიული ბაზრების მიხედვით, რამდენადაც ეს კატეგორიები და ბაზრები პროდუქციის გაყიდვისა და მომსახურების მიწოდების ორგანიზების წესის გათვალისწინებით მეტწილად ერთმანეთისგან განსხვავდებიან“.

ჯაჭვი აქვს, მან ინფორმაცია უნდა გაამჟღავნოს ღირებულებათა მხოლოდ ძირითადი ჯაჭვების შესახებ.

გამჟღავნების მოთხოვნა SBM-2 - დაინტერესებული მხარეების ინტერესები და ხედვები

43. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ხდება დაინტერესებული მხარეების ინტერესებისა და ხედვების გათვალისწინება საწარმოს სტრატეგიასა და ბიზნესმოდელში.
44. *გამჟღავნების* ამ მოთხოვნის მიზანია მომხმარებელს მიეცეს საშუალება ნათელი წარმოდგენა შეიქმნას იმაზე, თუ როგორ განსაზღვრავს დაინტერესებული მხარეების ინტერესები და ხედვები საწარმოს სტრატეგიასა და ბიზნესმოდელს.
45. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს შეჯამებული ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე:
 - ა) დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, მათ შორის:
 - i. საწარმოს ძირითადი დაინტერესებული მხარეები;
 - ii. აქვს თუ არა საწარმოს მათთან ურთიერთობა და რომელი კატეგორიის დაინტერესებულ მხარეებთან ხდება ეს;
 - iii. როგორ ხდება ამის ორგანიზება;
 - iv. მისი მიზანი; და
 - v. როგორ ითვალისწინებს საწარმო ამ ჩართულობის შედეგებს;
 - ბ) როგორ ესმის საწარმოს ძირითადი *დაინტერესებული მხარეების* ინტერესები და ხედვები მის სტრატეგიასა და *ბიზნესმოდელთან* კავშირის თვალსაზრისით, საწარმოს კომპლექსური შემოწმების ან/და *არსებითობის* შეფასების პროცესში მათი გაანალიზების შედეგად (იხილეთ წინამდებარე სტანდარტის *გამჟღავნების მოთხოვნა - IRO-1*);
 - გ) საჭიროების შემთხვევაში, საწარმოს სტრატეგიაში ან/და ბიზნესმოდელში შეტანილი შესწორებები, მათ შორის:
 - i. როგორ შეცვალა საწარმომ ან როგორ აპირებს შეცვალოს თავისი სტრატეგია ან/და ბიზნესმოდელი დაინტერესებული მხარეების ინტერესებისა და ხედვების გათვალისწინებით;
 - ii. ნებისმიერი შემდეგი ნაბიჯი, რომელსაც საწარმო გეგმავს და მათი განხორციელების ვადები; და
 - iii. მოსალოდნელია თუ არა, რომ ეს ნაბიჯები შეცვლის დაინტერესებული მხარეების ხედვებს და მათთან საწარმოს ურთიერთობას; და

- დ) არიან თუ არა ინფორმირებულნი *ადმინისტრაციული, მართვის და საზედამხებდელო ორგანოები* მდგრადობასთან დაკავშირებულ ზემოქმედებასთან დაკავშირებით ზემოქმედების ქვეშ მყოფი *დაინტერესებული მხარეების* ხედვებისა და ინტერესების შესახებ და როგორ ხდება მათი ინფორმირება.

გამჟღავნების მოთხოვნა SBM-3 - არსებითი ზემოქმედება, რისკები და შესაძლებლობები და მათი ურთიერთქმედება სტრატეგიასა და ბიზნესმოდელთან

46. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია საკუთარი არსებითი ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების შესახებ და როგორ ურთიერთქმედებენ ისინი საწარმოს სტრატეგიასა და ბიზნესმოდელთან.
47. *გამჟღავნების ამ მოთხოვნის* მიზანია მომხმარებელს მიეცეს საშუალება ნათელი წარმოდგენა შეიქმნას საწარმოს მიერ არსებითობის შეფასების შედეგად იდენტიფიცირებული არსებითი *ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების* შესახებ, როგორ არიან ისინი განპირობებული საწარმოს სტრატეგიითა და *ბიზნესმოდელით* (მათ შორის რესურსების განაწილებით), ასევე როგორ იწვევენ ისინი საწარმოს სტრატეგიისა და ბიზნესმოდელის, მათ შორის რესურსების განაწილების შეცვლას. ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნები საწარმოს არსებითი ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების მართვასთან დაკავშირებით მოცემულია თემატურ ESRS სტანდარტებსა და სექტორულ სტანდარტებში, რომელიც საწარმომ წინამდებარე სტანდარტში დადგენილ *პოლიტიკებთან, ქმედებებთან და სამიზნე მაჩვენებლებთან* დაკავშირებულ *გამჟღავნების მინიმალურ მოთხოვნებთან* ერთად უნდა გამოიყენოს.
48. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:
- ა) საწარმოს არსებითობის შეფასების შედეგად იდენტიფიცირებული არსებითი *ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების* მოკლე აღწერა (იხილეთ წინამდებარე სტანდარტის *გამჟღავნების მოთხოვნა - IRO-1*), მათ შორის აღწერა იმისა, თუ სად არის ეს არსებითი ზემოქმედება, რისკები და შესაძლებლობები კონცენტრირებული საწარმოს *ბიზნესმოდელში*, საკუთარ ოპერაციებში და აღმავალ და დაღმავალ *ღირებულებათა ჯაჭვში*.
 - ბ) საწარმოს არსებითი ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების მიმდინარე და მოსალოდნელი შედეგები მის ბიზნესმოდელზე, ღირებულებათა ჯაჭვზე, სტრატეგიასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე, როგორ მოახდინა საწარმომ ამ შედეგებზე რეაგირება ან როგორ აპირებს ამის გაკეთებას, მათ შორის ის ცვლილებები, რომელიც მან განახორციელა ან გეგმავს რომ განახორციელოს საკუთარ სტრატეგიაში ან ბიზნესმოდელში, როგორც ნაწილი იმ *ქმედებებისა*, რომელსაც კონკრეტულ არსებით ზემოქმედებაზე ან რისკებზე რეაგირების ან კონკრეტული არსებითი შესაძლებლობების გამოყენებისკენ სწრაფვის მიზნით ახორციელებს;
 - გ) საწარმოს არსებით *ზემოქმედებასთან* დაკავშირებით:

- i. როგორ ახდენს გავლენას საწარმოს არსებითი უარყოფითი და დადებითი ზემოქმედება (ან პოტენციური ზემოქმედების შემთხვევაში, სავარაუდოდ როგორ მოახდენს გავლენას) ადამიანებზე ან გარემოზე;
 - ii. განპირობებულია თუ არა ეს ზემოქმედება საწარმოს სტრატეგიითა და ბიზნესმოდელით ან უკავშირდება თუ არა იგი საწარმოს სტრატეგიასა და ბიზნესმოდელს და როგორ ხდება ეს;
 - iii. ამ ზემოქმედების, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელი პერიოდი;
 - iv. საწარმო თავისი საქმიანობებით ან *საქმიანი ურთიერთობებით* დაკავშირებულია თუ არა არსებით ზემოქმედებასთან და შესაბამისი საქმიანობებისა და საქმიანი ურთიერთობების ხასიათის აღწერა;
- დ) საწარმოს არსებითი რისკებისა და შესაძლებლობების *მიმდინარე ფინანსური შედეგები* მის ფინანსურ მდგომარეობაზე, ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებზე და ის არსებითი რისკები და შესაძლებლობები, რომლისთვისაც, შემდგომ წლიურ საანგარიშგებო პერიოდში, დაკავშირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების არსებითი კორექტირების მნიშვნელოვანი რისკი არსებობს.
- ე) საწარმოს არსებითი რისკებისა და შესაძლებლობების *მოსალოდნელი ფინანსური შედეგები* მის ფინანსურ მდგომარეობაზე, ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებზე მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერიოდში, მათ შორის ამ შედეგების არსებობის გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი დროის პერიოდები. ეს მოიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ მოელის საწარმო რისკებისა და შესაძლებლობების მართვის სტრატეგიის გათვალისწინებით საკუთარი ფინანსური მდგომარეობის, ფინანსური საქმიანობის შედეგებისა და ფულადი ნაკადების ცვლილებას მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერიოდში, შემდეგი საკითხების მხედველობაში მიღებით:
- i. საწარმოს საინვესტიციო და გავლის გეგმები (მაგალითად, კაპიტალური დანახარჯები, მნიშვნელოვანი შესყიდვები ან ინვესტიციების შეკვეცა, ერთობლივი საწარმოები, ბიზნესის გარდაქმნა, ინოვაციები, ბიზნეს-საქმიანობის ახალი სფეროები და აქტივების მოხმარებიდან გავლა), მათ შორის ის გეგმები, რომელზეც საწარმოს სახელშეკრულებო ვალდებულება აღებული არ აქვს.
 - ii. სტრატეგიის განსახორციელებლად საჭირო დაფინანსების წყაროები, რომელიც საწარმოს გეგმაში აქვს გათვალისწინებული;
- ვ) ინფორმაცია საწარმოს სტრატეგიისა და ბიზნესმოდელის სიცოცხლისუნარიანობის შესახებ, მისი შესაძლებლობის თვალსაზრისით დაძლიოს არსებითი ზემოქმედება და რისკები და ისარგებლოს არსებითი შესაძლებლობებით. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია ასეთი სიცოცხლისუნარიანობის ხარისხობრივი და, საჭიროების შემთხვევაში, რაოდენობრივი ანალიზის შესახებ, მათ შორის ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ჩატარდა ანალიზი და ESRS 1-ში განსაზღვრული დროის რომელი პერიოდები იქნა გამოყენებული (იხილეთ ESRS 1-ის მე-6 თავი - „*დროის პერიოდები*“). რაოდენობრივი ინფორმაციის წარმოდგენისას, საწარმოს შეუძლია ცალკეული ოდენობები ან დიაპაზონები გაამჟღავნოს;

- ზ) ცვლილებები არსებით ზემოქმედებაში, რისკებსა და შესაძლებლობებში, წინა საანგარიშგებო პერიოდთან შედარებით; და
- თ) იმ ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების მახასიათებლები, რომელსაც ESRS სტანდარტების გამჟღავნების მოთხოვნები ფარავს, იმ ზემოქმედებასთან, რისკებსა და შესაძლებლობებთან შედარებით, რომლის შესახებ ინფორმაციასაც საწარმო საწარმოსთვის სპეციფიკური დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნების ფარგლებში ამჟღავნებს.

49. საწარმოს შეუძლია 46-ე პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია შესაბამისი თემატური ESRS სტანდარტით განსაზღვრულ ინფორმაციასთან ერთად აღწერილობითი სახით გაამჟღავნოს. ასეთ შემთხვევაში მან მაინც უნდა წარმოადგინოს ანგარიში საკუთარი არსებითი **ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების** შესახებ, ამ თავის შესაბამისად მომზადებულ ინფორმაციასთან ერთად.

4. ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების მართვა

4.1 არსებობის შეფასების პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება

50. წინამდებარე თავი აწესებს გამჟღავნების ისეთ მოთხოვნებს, რომელიც მომხმარებელს ნათელ წარმოდგენას შეუქმნის:
- ა) არსებითი **ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების** იდენტიფიცირების პროცესზე; და
 - ბ) საწარმოს მიერ **არსებობის** შეფასების შედეგად განსაზღვრულ ინფორმაციაზე, რომელიც **მდგრადობის ანგარიშგებაშია** წარმოდგენილი.

გამჟღავნების მოთხოვნა IRO-1 - არსებითი ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების გამოვლენისა და შეფასების პროცესის აღწერა

51. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია საკუთარი ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების გამოვლენისა და მათი არსებობის შეფასების პროცესის შესახებ.
52. გამჟღავნების ამ მოთხოვნის მიზანია მომხმარებელს მიეცეს საშუალება ნათელი წარმოდგენა შეიქმნას პროცესზე, რომლის მეშვეობითაც საწარმო ახდენს **ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების** იდენტიფიცირებას და აფასებს მათ **არსებობას**, რაც თავის მხრივ **მდგრადობის ანგარიშგებაში** გასამჟღავნებელი ინფორმაციის განსაზღვრის საფუძველს წარმოადგენს (იხილეთ ESRS 1-ის მე-3 თავი და მისი შესაბამისი **გამოყენების მოთხოვნები**, სადაც ორმაგი არსებობის პრინციპის საფუძველზე არსებითი ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების გამოვლენისა და შეფასების პროცესთან დაკავშირებული მოთხოვნები და პრინციპებია დადგენილი).
53. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:
- ა) აღნიშნულ პროცესში გამოყენებული მეთოდოლოგიებისა და დაშვებების აღწერა;

- ბ) ადამიანებსა და გარემოზე საწარმოს პოტენციური და არსებული **ზემოქმედების** გამოვლენის, შეფასების, პრიორიტეტულობის განსაზღვრისა და მონიტორინგის იმ პროცესის ზოგადი მიმოხილვა, რომელიც საწარმოს კომპლექსური შემოწმების პროცესითაა განპირობებული, მათ შორის ახსნა-განმარტება იმისა, ეს პროცესი:
- i. ორიენტირებულია თუ არა კონკრეტულ საქმიანობებზე, საქმიან ურთიერთობებზე, გეოგრაფიულ არეალზე ან სხვა ფაქტორებზე, რომელიც უარყოფითი ზემოქმედების გაზრდილ რისკს წარმოშობს და როგორ ხდება ეს;
 - ii. ითვალისწინებს თუ არა იმ ზემოქმედებას, რომელთანაც საწარმო საკუთარი ოპერაციებითა და საქმიანი ურთიერთობების შედეგად არის დაკავშირებული და როგორ ხდება ეს;
 - iii. მოიცავს თუ არა კონსულტაციებს როგორც გარე ექსპერტებთან, ისე ზემოქმედების ქვეშ მყოფ **დაინტერესებულ მხარეებთან**, იმის გამორკვევის მიზნით, თუ რა ზეგავლენის ქვეშ შეიძლება მოექცნენ ისინი და როგორ ხდება ეს;
 - iv. განსაზღვრავს თუ არა უარყოფითი ზემოქმედების პრიორიტეტულობას მათი შედარებითი სერიოზულობისა და ალბათობის მიხედვით (იხილეთ ESRS 1-ის 3.4 განყოფილება - „**ზემოქმედების არსებითობა**“), ხოლო, როდესაც ეს შესაფერისია, გასაზღვრავს თუ არა დადებითი ზემოქმედების პრიორიტეტულობას მათი შედარებითი ხარისხის, მასშტაბისა და ალბათობის მიხედვით, ასევე განსაზღვრავს თუ არა, მდგრადობის რომელი საკითხებია არსებითი ანგარიშგების მიზნებისთვის, მათ შორის გამოყენებულ ხარისხობრივ და რაოდენობრივ ზღვრებსა და სხვა კრიტერიუმებს ESRS 1-ის 3.4 განყოფილების - „**ზემოქმედების არსებითობა**“ - შესაბამისად და როგორ ხდება ეს;
- გ) ისეთი **რისკებისა** და **შესაძლებლობების** გამოვლენის, შეფასების, პრიორიტეტულობის განსაზღვრისა და მონიტორინგის პროცესის ზოგადი მიმოხილვა, რომელთაც აქვთ ან შეიძლება ჰქონდეთ **ფინანსური შედეგები**. გამჟღავნებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს შემდეგს:
- i. როგორ განიხილავს საწარმო საკუთარი ზემოქმედებისა და დამოკიდებულების კავშირს იმ რისკებთან და შესაძლებლობებთან, რომლებიც ამ ზემოქმედებიდან და დამოკიდებულებიდან შეიძლება წარმოიშვას;
 - ii. როგორ აფასებს საწარმო გამოვლენილი რისკებისა და შესაძლებლობების შედეგების ალბათობას, მნიშვნელოვნობას და ხასიათს (როგორებიცაა ESRS 1-ის 3.3 განყოფილების - „**ფინანსური არსებითობა**“ - შესაბამისად გამოყენებული ხარისხობრივი და რაოდენობრივი ზღვრები და სხვა კრიტერიუმები);
 - iii. როგორ განსაზღვრავს საწარმო მდგრადობასთან დაკავშირებული რისკების პრიორიტეტულობას სხვა ტიპის რისკებთან მიმართებაში, მათ შორის საწარმოს მიერ რისკის შეფასების ინსტრუმენტების გამოყენება.

- დ) გადაწყვეტილების მიღების პროცესისა და მასთან დაკავშირებული შიდა კონტროლის პროცედურების აღწერა;
- ე) რამდენად და როგორ არის ზემოქმედებისა და რისკების გამოვლენის, შეფასების და მართვის პროცესი ინტეგრირებული საწარმოს რისკების მართვის საერთო პროცესში და რამდენად და როგორ გამოიყენება იგი საწარმოს რისკის საერთო პროფილის და რისკების მართვის საერთო პროცესის შესაფასებლად;
- ვ) როდესაც ეს საჭიროა, რამდენად და როგორ არის შესაძლებლობების გამოვლენის, შეფასების და მართვის პროცესი ინტეგრირებული საწარმოს მართვის საერთო პროცესში;
- ზ) საწყისი რესურსების პარამეტრები, რომელსაც საწარმო იყენებს (მაგალითად, მონაცემთა წყაროები, შესაბამისი ოპერაციების მასშტაბი და დაშვებებში გამოყენებული დეტალები); და
- თ) შეიცვალა თუ არა პროცესი წინა საანგარიშგებო პერიოდთან შედარებით და როგორ მოხდა ეს, ბოლოს როდის მოხდა პროცესის ცვლილება და არსებობის შეფასების გადასინჯვის თარიღები.

გამჟღავნების მოთხოვნა IRO-2 - ESRS სტანდარტების გამჟღავნების მოთხოვნები, რომლებსაც აკმაყოფილებს საწარმოს მდგრადობის ანგარიშგება

- 54. საწარმომ უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია საკუთარ მდგრადობის ანგარიშგებაში დაკმაყოფილებული გამჟღავნების მოთხოვნების შესახებ.
- 55. გამჟღავნების ამ მოთხოვნის მიზანია მომხმარებელს მიეცეს საშუალება ნათელი წარმოდგენა შეიქმნას გამჟღავნების იმ მოთხოვნებზე, რომლებსაც საწარმოს მდგრადობის ანგარიშგება აკმაყოფილებს, ასევე იმ თემებზე, რომლებიც, **არსებობის** შეფასების შედეგად, გამოტოვებული იქნა, როგორც არაარსებითი თემები.
- 56. საწარმომ, **არსებობის** შეფასების შედეგების შემდეგ (იხილეთ ESRS 1-ის მე-3 თავი), უნდა წარმოადგინოს საკუთარი **მდგრადობის ანგარიშგების** მომზადებისას დაკმაყოფილებული **გამჟღავნების მოთხოვნების** ჩამონათვალი, მათ შორის ინფორმაცია იმის შესახებ, მდგრადობის ანგარიშგების რომელ გვერდზე ან/და რომელ პუნქტშია წარმოდგენილი ამ მოთხოვნების შესაბამისად გამჟღავნებული ინფორმაცია. ეს ინფორმაცია შეიძლება წარმოდგენილი იყოს შინაარსის ინდექსის სახით. საწარმომ ასევე ცხრილის სახით უნდა წარმოადგინოს ყველა იმ ქვეპუნქტის სია, რომელიც ევროკავშირის სხვა კანონმდებლობიდან მომდინარეობს, ისე როგორც ეს წინამდებარე სტანდარტის „ბ“ დანართშია წარმოდგენილი. ამასთან დაკავშირებით საწარმომ ასევე უნდა მიუთითოს მდგრადობის ანგარიშგებაში ეს ინფორმაცია რა ადგილას არის წარმოდგენილი. მათ შორის საწარმომ უნდა წარმოადგინოს ის ქვეპუნქტები, რომლებიც მისი შეფასებით არსებითი არ არის. ასეთი შემთხვევა, ESRS 1-ის 35-ე პუნქტის შესაბამისად, ცხრილში მითითებული უნდა იყოს შემდეგნაირად - „არაარსებითი“.
- 57. თუ საწარმო დაასკვნის, რომ კლიმატის ცვლილება არ არის არსებითი საკითხი და, შესაბამისად, გამოტოვებს ESRS E1-ის - „**კლიმატის ცვლილება**“ - გამჟღავნების ყველა მოთხოვნას, მან კლიმატის ცვლილების საკითხთან დაკავშირებით **არსებობის** შეფასების შედეგად გამოტანილი დასკვნები

დეტალურად უნდა ახსნას (იხილეთ ESRS 2-ის IRO-2 – „ESRS სტანდარტების გამჟღავნების მოთხოვნები, რომლებსაც აკმაყოფილებს საწარმოს მდგრადობის ანგარიშგება“), მათ შორის საწარმომ უნდა წარმოადგინოს იმ პირობების პერსპექტიული ანალიზი, რამაც შეიძლება საწარმო იმ დასკვნამდე მიიყვანოს, რომ კლიმატის ცვლილების საკითხი მომავალში არსებითი იქნება.

- 58. თუ საწარმო დაასკვნის, რომ კლიმატის ცვლილების გარდა სხვა რომელიმე თემა არსებითი არ არის და, აქედან გამომდინარე, გამოტოვებს შესაბამისი თემატური ESRS სტანდარტის გამჟღავნების ყველა მოთხოვნას, მას შეუძლია ამ თემასთან დაკავშირებით *არსებითობის* შეფასების შედეგად გამოტანილი დასკვნების მოკლე ახსნა-განმარტება გაამჟღავნოს.
- 59. საწარმომ უნდა ახსნას საკუთარი გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, თუ რა სახით აპირებს მის მიერ არსებითად მიჩნეული *ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების* შესახებ არსებითი ინფორმაციის გამჟღავნებას, მათ შორის უნდა ახსნას ზღვრების გამოყენების საკითხი ან/და როგორ დანერგა ESRS 1-ის 3.2 განყოფილებაში - „*არსებითი საკითხები და ინფორმაციის არსებითობა*“ - მოცემული კრიტერიუმები.

4.2 პოლიტიკისა და ქმედებების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების მინიმალური მოთხოვნები

- 60. წინამდებარე განყოფილებაში დადგენილია ინფორმაციის *გამჟღავნების* ის *მინიმალური მოთხოვნები*, რომელიც საწარმომ არსებული და პოტენციური არსებითი *ზემოქმედების* თავიდან არიდების, შერბილებისა და რემედიაციის, ასევე არსებით *რისკებზე* რეაგირების ან/და არსებითი *შესაძლებლობებისკენ* სწრაფვის მიზნით (ერთობლივად, „*მდგრადობის* არსებითი *საკითხების* მართვის მიზნით) განხორციელებული *პოლიტიკებისა* და *ქმედებების* შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებისას უნდა დააკმაყოფილოს. საწარმომ ეს მინიმალური მოთხოვნები უნდა გამოიყენოს შესაბამის თემატურ და სექტორულ ESRS სტანდარტებში მოცემულ *გამჟღავნების მოთხოვნებთან*, მათ შორის *გამოყენების მოთხოვნებთან*, ერთად. საწარმომ ეს მოთხოვნები ასევე უნდა გამოიყენოს საწარმოსთვის სპეციფიკური ინფორმაციის გამჟღავნებისას.
- 61. ასეთი ტიპის შესაბამისი ინფორმაცია შესაფერისი ESRS სტანდარტების გათვალისწინებით გამჟღავნებული ინფორმაციის გვერდით უნდა განთავსდეს. როდესაც ერთი *პოლიტიკა* ან მსგავსი *ქმედებები* რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ *მდგრადობის საკითხს* მიემართება, საწარმოს შეუძლია საკუთარ ანგარიშგებაში სავალდებულო ინფორმაცია ერთი თემატური ESRS სტანდარტის შესაბამისად გაამჟღავნოს და სხვა თემატურ ESRS სტანდარტებთან დაკავშირებით ჯვარედინი მითითება გააკეთოს.
- 62. თუ საწარმოს არ შეუძლია გაამჟღავნოს ინფორმაცია შესაბამისი ESRS სტანდარტებით დადგენილი *პოლიტიკებისა* და *ქმედებების* შესახებ, იმ მიზეზით, რომ *მდგრადობის* კონკრეტულ *საკითხთან* მიმართებაში მას არ შემოუღია პოლიტიკა ან/და არ განუხორციელებია ქმედებები, მან ეს ფაქტი უნდა დააფიქსიროს და მიუთითოს ამის მიზეზები. საწარმოს ასევე შეუძლია მიუთითოს დროის პერიოდი, რომელშიც იგი ამის განხორციელებას აპირებს.

გამყლავენების მინიმალური მოთხოვნა - პოლიტიკები - MDR-P - მდგრადობის არსებითი საკითხების მართვის მიზნით შემოღებული პოლიტიკები

63. საწარმომ ამ დებულებით დადგენილი ***გამყლავენების მინიმალური მოთხოვნები*** უნდა გამოიყენოს მაშინ, როდესაც იგი ინფორმაციას ამყლავენებს ისეთი არსებული ***პოლიტიკების*** შესახებ, რომელიც მას არსებითად მიჩნეულ ***მდგრადობის*** თითოეულ ***საკითხთან*** მიმართებაში აქვს შემოღებული.
64. ***გამყლავენების*** ამ ***მინიმალური მოთხოვნის*** მიზანია მომხმარებელს მიეცეს საშუალება ნათელი წარმოდგენა შეიქმნას არსებული და პოტენციური ***ზემოქმედების*** თავიდან არიდების, შერბილებისა და რემედიაციის, ასევე ***რისკებზე*** რეაგირების ან/და ***შესაძლებლობებისკენ*** სწრაფვის მიზნით საწარმოში არსებული ***პოლიტიკების*** შესახებ.
65. საწარმომ უნდა გაამყლავენოს ინფორმაცია ***მდგრადობის*** არსებითი ***საკითხების*** მართვის მიზნით საწარმოში შემოღებული ***პოლიტიკების*** შესახებ. მან უნდა გაამყლავენოს შემდეგი სახის ინფორმაცია:
- ა) ***პოლიტიკის*** ძირითადი შინაარსის აღწერა, მათ შორის ამ პოლიტიკის ზოგადი მიზნები, ასევე რომელ არსებით ***ზემოქმედებასთან***, ***რისკებთან*** ან ***შესაძლებლობებთან*** არის იგი დაკავშირებული და მასზე მონიტორინგის პროცესი;
 - ბ) პოლიტიკის მოქმედების სფეროს ან მისი გამონაკლისების აღწერა საქმიანობების, აღმავალი ან/და დაღმავალი ***ღირებულებათა ჯაჭვის***, გეოგრაფიული არეალის და, საჭიროების შემთხვევაში, ზემოქმედების ქვეშ მყოფი ***დაინტერესებულ მხარეთა*** ჯგუფების თვალსაზრისით;
 - გ) საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურის ყველაზე მაღალი დონე, რომელიც ამ პოლიტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელი;
 - დ) საჭიროების შემთხვევაში, მითითება მესამე მხარის სტანდარტებზე ან ინიციატივებზე, რომელსაც საწარმო პოლიტიკის განხორციელებისას იყენებს;
 - ე) საჭიროების შემთხვევაში, პოლიტიკის დაწესებისას ძირითადი ***დაინტერესებული მხარეების*** ინტერესების გათვალისწინების საკითხის აღწერა; და
 - ვ) საჭიროების შემთხვევაში, ხდის თუ არა საწარმო ამ პოლიტიკას ხელმისაწვდომს პოტენციურად ზემოქმედების ქვეშ მყოფი დაინტერესებული მხარეებისთვის, ასევე ინფორმაცია იმ დაინტერესებულ მხარეებზე, რომელთაც ამ პოლიტიკის განხორციელებაში დახმარება ესაჭიროებათ.

გამყლავენების მინიმალური მოთხოვნა - ქმედებები - MDR-A - მდგრადობის არსებითი საკითხებთან დაკავშირებული ქმედებები და რესურსები

66. როდესაც საწარმო აღწერს მის მიერ ***მდგრადობის*** თითოეული არსებითი ***საკითხის*** მართვასთან დაკავშირებით განხორციელებული ***ქმედებების***, მათ შორის სამოქმედო გეგმების ან გამოყოფილი ან/და დაგეგმილი რესურსების შინაარსობრივ მხარეს, მან წინამდებარე დებულებით დადგენილი მოთხოვნები უნდა გამოიყენოს.

67. *გამჟღავნების* ამ *მინიმალური მოთხოვნის* მიზანია მომხმარებელს მიეცეს საშუალება ნათელი წარმოდგენა შეიქმნას საწარმოს მიერ არსებული და პოტენციური *ზემოქმედების* თავიდან არიდების, შერბილებისა და *რემედიაციის*, ასევე *რისკებზე* რეაგირებისა და *შესაძლებლობების გამოყენების*, და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის *პოლიტიკებთან* დაკავშირებული მიზნებისა და *სამიზნე მაჩვენებლების* მიღწევის მიზნით განხორციელებული ან/და დაგეგმილი ძირითადი *ქმედებების* შესახებ.
68. როდესაც საწარმოს მიზნების მისაღწევად საჭირო რომელიმე *პოლიტიკის* დანერგვისთვის აუცილებელია *ქმედებების* განხორციელება ან ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმა, ასევე როდესაც ქმედებები ხორციელდება კონკრეტული პოლიტიკის გარეშე, საწარმომ უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:
- ა) საანგარიშგებო წლის განმავლობაში განხორციელებული ან მომავლისთვის დაგეგმილი ძირითადი ქმედებების ჩამონათვალი, მათი მოსალოდნელი შედეგები და, საჭიროების შემთხვევაში, ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა წვლილი შეაქვს მათ განხორციელებას პოლიტიკის მიზნებისა და *სამიზნე მაჩვენებლების* მიღწევაში;
 - ბ) ძირითადი ქმედებების მასშტაბი (ე.ი. რაზე ვრცელდება იგი საქმიანობების, აღმავალი ან/და დაღმავალი *ღირებულებათა ჯაჭვის*, გეოგრაფიული არეალის და, საჭიროების შემთხვევაში, ზემოქმედების ქვეშ მყოფი *დაინტერესებულ მხარეთა* ჯგუფების თვალსაზრისით);
 - გ) დროის პერიოდი, როდესაც საწარმო გეგმავს თითოეული ძირითადი ქმედების სისრულეში მოყვანას;
 - დ) საჭიროების შემთხვევაში, მიმდინარე არსებითი ზემოქმედების შედეგად დაზარალებულთათვის პრობლემის *რემედიაციის* უზრუნველყოფის და მათი უზრუნველყოფის პროცესში თანამშრომლობის ან მხარდაჭერის მიზნით განხორციელებული ძირითადი ქმედებები (შედეგებთან ერთად);
 - ე) საჭიროების შემთხვევაში, წინა პერიოდებში გამჟღავნებული ქმედებების ან სამოქმედო გეგმების შესრულების პროგრესთან დაკავშირებული რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინფორმაცია.
69. როდესაც სამოქმედო გეგმის განხორციელება მოითხოვს მნიშვნელოვან საოპერაციო დანახარჯებს ან/და კაპიტალურ დანახარჯებს, საწარმომ უნდა:
- ა) აღწეროს, სამოქმედო გეგმისთვის გამოყოფილი ფინანსური და სხვა რესურსების (არსებული და სამომავლო) სახეები, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, მდგრადი დაფინანსების ინსტრუმენტების გამოყენების შესაბამისი პირობები, როგორცაა მწვანე ობლიგაციები, სოციალური ობლიგაციები და მწვანე სესხები, გარემოსდაცვითი ან სოციალური მიზნები და დამოკიდებულია თუ არა ქმედებების ან სამოქმედო გეგმის განხორციელების შესაძლებლობა კონკრეტულ წინაპირობებზე, მაგალითად, ფინანსური დახმარების გაცემაზე ან საჯარო პოლიტიკისა და ბაზრის განვითარებაზე;
 - ბ) წარმოადგინოს ინფორმაცია მიმდინარე ფინანსური რესურსების ოდენობის შესახებ და ახსნას, თუ როგორ უკავშირდება ისინი ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველაზე შესაფერის ოდენობებს; და

- გ) წარმოადგინოს ინფორმაცია მომავალი ფინანსური რესურსების ოდენობის შესახებ.

5. მდგრადობის მაჩვენებლები და სამიზნე მაჩვენებლები

70. წინამდებარე თავში დადგენილია ინფორმაციის *გამჟღავნების* ის *მინიმალური მოთხოვნები*, რომელიც საწარმომ უნდა დააკმაყოფილოს მდგრადობის თითოეულ არსებით საკითხთან დაკავშირებული *მდგრადობის მაჩვენებლებისა* და *სამიზნე მაჩვენებლების* შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებისას. საწარმომ ეს მინიმალური მოთხოვნები უნდა გამოიყენოს შესაბამის თემატურ ESRS სტანდარტებში მოცემულ *გამჟღავნების მოთხოვნებთან*, მათ შორის *გამოყენების მოთხოვნებთან*, ერთად. საწარმომ ეს მოთხოვნები ასევე უნდა გამოიყენოს საწარმოსთვის სპეციფიკური ინფორმაციის გამჟღავნებისას.
71. ასეთი ტიპის ინფორმაცია უნდა განთავსდეს თემატური ESRS სტანდარტების შესაბამისად გამჟღავნებული ინფორმაციის გვერდით.
72. თუ საწარმოს არ შეუძლია გაამჟღავნოს ინფორმაცია შესაბამისი თემატური ESRS სტანდარტებით დადგენილი *სამიზნე მაჩვენებლების* შესახებ, იმ მიზეზით, რომ მდგრადობის კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში მას არ დაუწესებია სამიზნე მაჩვენებლები, მან ეს ფაქტი უნდა დააფიქსიროს და მიუთითოს ამის მიზეზები. საწარმოს ასევე შეუძლია მიუთითოს დროის პერიოდი, რომელშიც იგი ამის განხორციელებას აპირებს.

გამჟღავნების მინიმალური მოთხოვნა - მდგრადობის მაჩვენებლები - MDR-M - მდგრადობის არსებით საკითხებთან დაკავშირებული მდგრადობის მაჩვენებლები

73. საწარმომ, მის მიერ *მდგრადობის* თითოეულ არსებით *საკითხთან* დაკავშირებული *მდგრადობის მაჩვენებლების* შესახებ ინფორმაციის შინაარსობრივი მხარის აღწერისას, წინამდებარე დებულებით დადგენილი მოთხოვნები უნდა გამოიყენოს.
74. *გამჟღავნების* ამ *მინიმალური მოთხოვნის* მიზანია მომხმარებელს მიეცეს საშუალება ნათელი წარმოადგენა შეიქმნას *მდგრადობის* იმ *მაჩვენებლების* შესახებ, რომელსაც საწარმო *მდგრადობის* არსებითი *საკითხების* სამართავად განხორციელებული *ქმედებების* ეფექტიანობისთვის თვალყურის სადევნებლად იყენებს.
75. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია *მდგრადობის* ნებისმიერი ისეთი *მაჩვენებლის* შესახებ, რომელსაც იგი არსებით *ზემოქმედებასთან*, *რისკთან* ან *შესაძლებლობასთან* დაკავშირებით საქმიანობის შედეგებისა და ეფექტიანობის შესაფასებლად იყენებს.
76. *მდგრადობის მაჩვენებლები* უნდა მოიცავდეს ESRS სტანდარტებით განსაზღვრულ მდგრადობის მაჩვენებლებს, ასევე, საწარმოსთვის სპეციფიკური მოთხოვნების საფუძველზე დადგენილ, ან სხვა წყაროებიდან აღებულ ან თავად საწარმოს მიერ შემუშავებულ მდგრადობის მაჩვენებლებს.
77. *მდგრადობის* თითოეულ *მაჩვენებელთან* მიმართებით, საწარმომ:

- ა) უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია მდგრადობის მაჩვენებლების დადგენისას გამოყენებული მეთოდოლოგიებისა და მნიშვნელოვანი დაშვებების შესახებ, მათ შორის გამოყენებული მეთოდოლოგიების შეზღუდვების შესახებ;
- ბ) უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია იმის შესახებ, მდგრადობის მოცემული მაჩვენებელი დადასტურებულია თუ არა, რწმუნების გამცემის გარდა, სხვა გარე ორგანოს მიერ და თუ ასეა, რომელი ორგანოა იგი;
- გ) ცალსახად უნდა განსაზღვროს და აღწეროს მდგრადობის მაჩვენებლები და მინიჭოს მკაფიო და ზუსტი დასახელებები;
- დ) როდესაც საჭირო ერთეულად აღებულია სავალუტო ერთეული, საწარმომ უნდა გამოიყენოს მის ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული წარსადგენი ვალუტა.

გამჟღავნების მინიმალური მოთხოვნა - სამიზნე მაჩვენებლები - MDR-T - პოლიტიკებისა და ქმედებების ეფექტიანობისთვის თვალყურის დევნება სამიზნე მაჩვენებლების საშუალებით

- 78. საწარმომ, მის მიერ *მდგრადობის* თითოეულ არსებით *საკითხთან* დაკავშირებული *სამიზნე მაჩვენებლების* შესახებ ინფორმაციის შინაარსობრივი მხარის აღწერისას, წინამდებარე დებულებით დადგენილი მოთხოვნები უნდა გამოიყენოს.
- 79. *გამჟღავნების* ამ *მინიმალური მოთხოვნის* მიზანია მომხმარებელს მიეცეს საშუალება *მდგრადობის* თითოეულ არსებით *საკითხთან* მიმართებით ნათელი წარმოდგენა შეიქმნას შემდეგზე:
 - ა) ადევნებს თუ არა საწარმო თვალყურს არსებით *ზემოქმედებაზე, რისკებზე* და *შესაძლებლობებზე* რეაგირების მიზნით განხორციელებული *ქმედებების*, მათ შორის *მდგრადობის* შესაბამისი *მაჩვენებლების*, ეფექტიანობას და როგორ ახორციელებს ამას;
 - ბ) საწარმოს მიერ *პოლიტიკის* მიზნების მისაღწევად დაწესებული, დროში გაწერილი, გაზომვადი და შედეგზე ორიენტირებული *სამიზნე მაჩვენებლები*, რომელიც განისაზღვრა არსებით *ზემოქმედებასთან, რისკებთან* და *შესაძლებლობებთან* დაკავშირებით ადამიანებისთვის, გარემოსთვის ან საწარმოსთვის მოსალოდნელი შედეგების მიხედვით;
 - გ) დაწესებული სამიზნე მაჩვენებლების მიღწევის საერთო პროგრესი დროთა განმავლობაში;
 - დ) იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს არ დაუწესებია დროში გაწერილი, გაზომვადი და შედეგზე ორიენტირებული სამიზნე მაჩვენებლები, ამის მიუხედავად, ადევნებს თუ არა თვალყურს საწარმო არსებით *ზემოქმედებაზე, რისკებსა* და *შესაძლებლობებზე* რეაგირების მიზნით განხორციელებული *ქმედებების* ეფექტიანობას და ზომავს თუ არა იგი *პოლიტიკის* მიზნების მიღწევის საერთო პროგრესს და როგორ აკეთებს ამას;
 - ე) იყვნენ თუ არა *დაინტერესებული მხარეები* ჩართულნი მდგრადობის თითოეულ არსებით *საკითხთან* მიმართებით სამიზნე მაჩვენებლების დაწესების პროცესში და როგორ მოხდა ეს.

80. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია მის მიერ პროგრესის შესაფასებლად *მდგრადობის* არსებითი *საკითხებისთვის* დაწესებული, დროში გაწერილი, გაზომვადი და შედეგზე ორიენტირებული *სამიზნე მაჩვენებლების* შესახებ. თითოეული ასეთი სამიზნე მაჩვენებლისთვის, საწარმომ უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:

- ა) სამიზნე მაჩვენებლის *პოლიტიკის* მიზნებთან კავშირის აღწერა;
- ბ) სამიზნე მაჩვენებლის განსაზღვრული დონე, რომელსაც საწარმომ უნდა მიაღწიოს, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ინფორმაცია იმის შესახებ, ეს სამიზნე მაჩვენებელი აბსოლუტურია თუ ფარდობითი და რომელი ერთეულით იზომება იგი;
- გ) სამიზნე მაჩვენებლის მასშტაბი, საწარმოს საქმიანობების ან/და აღმავალი ან/და დადმავალი *ღირებულებათა ჯაჭვის* (როდესაც ეს საჭიროა) და გეოგრაფიული საზღვრების ჩათვლით;
- დ) საბაზისო მაჩვენებელი და საბაზისო წელი, რომელთან შედარებითაც იზომება პროგრესი;
- ე) პერიოდი, რომელსაც სამიზნე მაჩვენებელი ეხება და, თუ ეს შესაძლებელია, საეტაპო მიზნები და შუალედური სამიზნე მაჩვენებლები;
- ვ) სამიზნე მაჩვენებლების დაწესებისას გამოყენებული მეთოდოლოგიები და მნიშვნელოვანი დაშვებები, მათ შორის, სადაც ეს შესაძლებელია, შერჩეული *სცენარი*, მონაცემთა წყაროები, ეროვნული, ევროკავშირის ან საერთაშორისო პოლიტიკის მიზნებთან შესაბამისობა და როგორ არის სამიზნე მაჩვენებლებში გათვალისწინებული მდგრადი განვითარების ფართო კონტექსტი ან/ და ადგილობრივი სიტუაცია, სადაც ზემოქმედება ხდება.
- ზ) გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით საწარმოს მიერ დაწესებული სამიზნე მაჩვენებლები ეფუძნება თუ არა სარწმუნო სამეცნიერო მტკიცებულებებს;
- თ) იყვნენ თუ არა *დაინტერესებული მხარეები* ჩართულნი მდგრადობის თითოეულ არსებით საკითხთან მიმართებით სამიზნე მაჩვენებლების დაწესების პროცესში და როგორ მოხდა ეს.
- ი) სამიზნე მაჩვენებლებსა და *მდგრადობის* შესაბამის *მაჩვენებლებში* ან შეფასების ძირითად მეთოდოლოგიებში, მნიშვნელოვან დაშვებებში, შეზღუდვებში, წყაროებში და მონაცემთა შეგროვების პროცესში დროის განსაზღვრულ პერიოდში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილება. ეს ინფორმაცია უნდა მოიცავდეს განხორციელებული ცვლილებების რაციონალური საფუძვლის ახსნას და მათ გავლენას შესაძარისობის საკითხზე (იხილეთ წინამდებარე სტანდარტის გამჟღავნების მოთხოვნა BP-2 – „*კონკრეტულ გარემოებებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება*“); და
- კ) გამჟღავნებული სამიზნე მაჩვენებლების მიღწევის თვალსაზრისით საქმიანობის შედეგები, მათ შორის ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ხდება სამიზნე მაჩვენებლების მონიტორინგი და გადახედვა და როგორ ხდება მდგრადობის მაჩვენებლების გამოყენება, შეესაბამება თუ არა მათი მიღწევის პროგრესი თავდაპირველად დაგეგმილს, ასევე საწარმოს მიერ სამიზნე მაჩვენებლების მიღწევის

თვალსაზრისით განხორციელებულ საქმიანობის შედეგებში მნიშვნელოვანი ცვლილებების ან ტენდენციების ანალიზი.

81. თუ საწარმოს არ დაუწესებია რაიმე გაზომვადი, შედეგზე ორიენტირებული *სამიზნე მაჩვენებლები*:

- ა) მას შეუძლია გაამჟღავნოს ინფორმაცია იმის შესახებ, დააწესებს თუ არა იგი ასეთ სამიზნე მაჩვენებლებს, დროის რა პერიოდში გააკეთებს ამას, ან ინფორმაცია იმ მიზეზების შესახებ, რის გამოც საწარმო არ გეგმავს ასეთი სამიზნე მაჩვენებლების დაწესებას;
- ბ) მან უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია იმის შესახებ, ყველაფრის მიუხედავად, ადევნებს თუ არა იგი თვალყურს მდგრადობასთან დაკავშირებული არსებითი *ზემოქმედების, რისკისა და შესაძლებლობის* მიმართულებით დაწესებული *პოლიტიკებისა* და განხორციელებული *ქმედებების* ეფექტიანობას და თუ ასეა, მან უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია:
 - i. ნებისმიერ პროცესზე, რომლის მეშვეობითაც იგი ამას აკეთებს;
 - ii. ამ მიზნის მიღწევის განსაზღვრული დონისა და შესრულების პროგრესის შესაფასებლად გამოყენებული ნებისმიერი ხარისხობრივი ან რაოდენობრივი მაჩვენებლის შესახებ, იმ საბაზისო პერიოდის ჩათვლით, რომელთან შედარებითაც აღნიშნული პროგრესი იზომება.

დანართი ა: გამოყენების მოთხოვნები

წინამდებარე დანართი ESRS 2-ის განუყოფელი ნაწილია და ისეთივე ძალა აქვს, რაც ამ სტანდარტის დანარჩენ ნაწილებს.

1. მომზადების საფუძველი

გამჟღავნების მოთხოვნა BP-1 - მდგრადობის ანგარიშგების მომზადების ზოგადი საფუძველი

გმ 1. როდესაც საწარმო აღწერს, თუ რამდენად ფარავს *მდგრადობის ანგარიშგება* საწარმოს აღმავალ და დაღმავალ *ღირებულებათა ჯაჭვს* (იხილეთ ESRS 1-ის 5.1 განყოფილება - „*ანგარიშვალდებული საწარმო და ღირებულებათა ჯაჭვი*“), მას შეუძლია გამოყოს შემდეგი ინფორმაცია:

- ა) რამდენად ვრცელდება საწარმოს მიერ *ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების არსებითობის* შეფასება მის აღმავალ ან/და დაღმავალ ღირებულებათა ჯაჭვზე;
- ბ) რამდენად ვრცელდება საწარმოს *პოლიტიკები, ქმედებები და სამიზნე მაჩვენებლები* მის ღირებულებათა ჯაჭვზე; და
- გ) რამდენად მოიცავს საწარმოს მიერ *მდგრადობის მაჩვენებლების* შესახებ გამჟღავნებული ინფორმაცია მისი აღმავალი ან/და დაღმავალი ღირებულებათა ჯაჭვის მონაცემებს.

გამჟღავნების მოთხოვნა BP-2 - კონკრეტულ გარემოებებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება

გმ 2. საწარმოს შეუძლია გაამჟღავნოს ინფორმაცია იმის შესახებ, ეყრდნობა თუ არა იგი ევროპის სტანდარტიზაციის სისტემის მიერ დამტკიცებულ რომელიმე ევროპულ სტანდარტს (ISO/IEC ან CEN/CENELEC სტანდარტებს), ასევე რამდენად შემოწმდა მდგრადობის ანგარიშგების მიზნებისთვის გამოყენებული მონაცემები და პროცესები რწმუნების გამცემი გარე ორგანოს მიერ და რამდენად იქნა დადგენილი შესაბამის ISO/IEC ან CEN/CENELEC სტანდარტთან შესაბამისობა.

2. მმართველობა

გამჟღავნების მოთხოვნა GOV-1 - ადმინისტრაციული, მართვისა და საზედამხედველო ორგანოების როლი

გმ 3. *მდგრადობის საკითხებთან* დაკავშირებით *ადმინისტრაციული, მართვისა და საზედამხედველო ორგანოების* როლისა და პასუხისმგებლობების აღწერისას, საწარმოს შეუძლია დააკონკრეტოს:

- ა) მდგრადი განვითარების ასპექტები, რომელზეც საწარმო ახორციელებს ზედამხედველობას ისეთ გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით საკითხებთან დაკავშირებით, რომელთა წინაშეც შეიძლება ის აღმოჩნდეს, კერძოდ:
- i. საწარმოს სტრატეგიისა და **ბიზნესმოდელის** მდგრადობასთან დაკავშირებული ასპექტების ნებისმიერი სახის შეფასება და ცვლილება;
 - ii. არსებითი **რისკების, შესაძლებლობებისა და ზემოქმედების** გამოვლენა და შეფასება;
 - iii. დაკავშირებული **პოლიტიკები** და **სამიზნე მაჩვენებლები**, სამოქმედო გეგმები და გამოყოფილი რესურსები; და
 - iv. მდგრადობის ანგარიში;
- ბ) ზემოთ აღნიშნულ თითოეულ ასპექტთან დაკავშირებით ზედამხედველობის განხორციელების ფორმები, ე.ი. მასთან დაკავშირებული ინფორმაცია, კონსულტაციებისა ან გადაწყვეტილების მიღების პროცესი; და
- გ) რა გზებით ხდება ასეთი სახის ზედამხედველობის ორგანიზება და შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმება, ე.ი. ინფორმაცია პროცესების შესახებ, რომლის მეშვეობითაც ადმინისტრაციული, მართვისა და საზედამხედველო ორგანოები მდგრადობის ამ ასპექტების ზედამხედველობაში არიან ჩართულნი.

გმ 4. **მდგრადობის საკითხებთან** დაკავშირებული მმართველობის სტრუქტურის აღწერისას, საწარმოს შეუძლია მმართველობის რთული სტრუქტურის აღწერას თან დაურთოს შესაბამისი დიაგრამა.

გმ 5. **ადმინისტრაციული, მართვისა და საზედამხედველო ორგანოების** კომპეტენციის დონის და ამ კომპეტენციის გამოყენების შესაძლებლობის აღწერისას, საკითხის დასაბუთების მიზნით საწარმოს შეუძლია წარმოადგინოს ამ ორგანოების შემადგენლობა, მათ შორის ინფორმაცია იმ წევრების შესახებ, რომელთა კომპეტენციასაც იგი **მდგრადობის საკითხების** ზედამხედველობისას ეყრდნობა და როგორ იყენებენ ეს ორგანოები, მთლიანობაში, თითოეული წევრის კომპეტენციას. ამ საკითხის აღწერისას, საწარმომ უნდა გაითვალისწინოს თუ როგორ შეესაბამება მათი კომპეტენცია და უნარ-ჩვევები საწარმოს არსებით **ზემოქმედებას, რისკებსა და შესაძლებლობებს**, ასევე აქვს თუ არა აღნიშნულ ორგანოებს ან/და მათ წევრებს ამ თვალსაზრისით სხვა წყაროების გამოყენების შესაძლებლობა, მაგალითად, მდგრადობასთან დაკავშირებით ამ ორგანოების კომპეტენციის ამაღლება და უნარ-ჩვევების განვითარება კონკრეტული ექსპერტების დახმარების მიღებით და **ტრენინგებსა** და სხვა საგანმანათლებლო ინიციატივებში მონაწილეობით.

გამჟღავნების მოთხოვნა GOV-2 - ადმინისტრაციული, მართვისა და საზედამხედველო ორგანოებისთვის მიწოდებული ინფორმაცია და მდგრადობის საკითხები, რომელზეც მათ რეაგირება მოახდინეს

გმ 6. საწარმოს სტრუქტურულიდან გამომდინარე, **ადმინისტრაციული, მართვისა და საზედამხედველო ორგანოები** შეიძლება მთავარ, ყოვლისმომცველ **სამიზნე მაჩვენებლებზე** იყვნენ

კონცენტრირებულნი, ხოლო ხელმძღვანელობა - უფრო კონკრეტულ, დეტალურ სამიზნე მაჩვენებლებზე. ასეთ შემთხვევაში, საწარმოს შეუძლია გაამჟღავნოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ უზრუნველყოფენ მმართველობის ორგანოები საქმიანობის შედეგების მონიტორინგის შესაბამისი მექანიზმის არსებობას.

გამჟღავნების მოთხოვნა GOV-3 - მდგრადობასთან დაკავშირებული საქმიანობის შედეგების ინტეგრირება წამახალისებელ სქემებში

გმ 7. კოტირებული საწარმოებისთვის, *გამჟღავნების* ეს მოთხოვნა შესაბამისობაში უნდა იყოს 2007/36/EC დირექტივის (კოტირებული საწარმოების აქციონერთა გარკვეული უფლებების განხორციელების შესახებ - Directive 2007/36/EC on the exercise of certain rights of shareholders in listed companies) 9a და 9b მუხლებით განსაზღვრულ ანაზღაურების ანგარიშთან. ESRS 1-ის 119-ე, 120-ე და 122-ე პუნქტების დებულებების თანახმად, კოტირებულ საწარმოს შეუძლია შესაბამისი მითითება გააკეთოს საკუთარ ანაზღაურების ანგარიშზე.

გამჟღავნების მოთხოვნა GOV-4 - კომპლექსური შემოწმების ანგარიში

გმ 8. საწარმოს შეუძლია 30-ე პუნქტით დადგენილი სავალდებულო სქემატური ინფორმაცია წარმოადგინოს ცხრილის სახით, ადამიანებზე და გარემოზე ზემოქმედების კომპლექსური შემოწმების პროცესის ძირითადი ელემენტებისა და საწარმოს *მდგრადობის ანგარიშგებაში* გამჟღავნებული შესაბამისი ინფორმაციის ჯვარედინი მითითებით, ქვემოთ წარმოდგენილი მაგალითის შესაბამისად.

გმ 9. საწარმოს შეუძლია ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოადგინოს დამატებითი სვეტები, სადაც ადამიანებზე ან/და გარემოზე ზემოქმედებასთან დაკავშირებით გამჟღავნებული ინფორმაცია მკაფიოდ იქნება ასახული იმის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, კომპლექსური შემოწმების ერთი და იგივე ეტაპის შესახებ ინფორმაცია შეიძლება ერთზე მეტ განმარტებით შენიშვნაში იყოს წარმოდგენილი.

გმ 10. კომპლექსური შემოწმების პროცესის ძირითად ელემენტებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი მითითებები დოკუმენტების - *გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ* და *ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სახელმძღვანელო პრინციპები მულტიინაციონალური საწარმოებისთვის* - შესაბამის პუნქტებზე წარმოდგენილია ESRS 1-ის მე-4 თავში.

კომპლექსური შემოწმების პროცესის ძირითადი ელემენტები	პუნქტები მდგრადობის ანგარიშგებაში
ა) კომპლექსური შემოწმების დანერგვა მმართველობის, სტრატეგიისა და ბიზნესმოდელის შემუშავების პროცესში	
ბ) კომპლექსური შემოწმების პროცესის ყველა ძირითად ეტაპზე ზემოქმედების ქვეშ მყოფ დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობა	
გ) უარყოფითი ზემოქმედების გამოვლენა და შეფასება	

დ) უარყოფით ზემოქმედებაზე რეაგირების მიზნით ზომების მიღება	
ე) აღნიშნული ძალისხმევების ეფექტიანობაზე თვალყურის დევნება და მათ შესახებ ინფორმირება	

გამჟღავნების მოთხოვნა GOV-5 - მდგრადობის ანგარიშგების პროცესთან დაკავშირებული რისკების მართვა და შიდა კონტროლის საშუალებები

გმ 11. *გამჟღავნების* ეს მოთხოვნა ორიენტირებულია მხოლოდ და მხოლოდ მდგრადობის ანგარიშგებისას შიდა კონტროლის პროცესებზე. საწარმომ შეიძლება გაითვალისწინოს ისეთი რისკები, რომლებიც უკავშირდება, მაგალითად, მონაცემების სისრულეს და მთლიანობას, შეფასების შედეგების სიზუსტეს, აღმავალი ან/და დაღმავალი *ღირებულებათა ჯაჭვის* მონაცემების ხელმისაწვდომობას და ინფორმაციაზე წვდომის დროს.

3. სტრატეგია

გამჟღავნების მოთხოვნა SBM-1 - სტრატეგია, ბიზნესმოდელი და ღირებულებათა ჯაჭვი

გმ 12. სექტორების შესახებ მე-40 პუნქტით განსაზღვრული სავალდებულო ინფორმაციის წარმოდგენისას, საწარმომ მნიშვნელოვანი საქმიანობები სქემატურად უნდა დაანაწილოს ESRS სტანდარტებით დადგენილი სექტორების მიხედვით. თუ რომელიმე ქვე-სექტორის კოდი არ არსებობს, საწარმომ უნდა გამოიყენოს მითითება - „სხვები“.

გმ 13. მე-40 პუნქტით დადგენილი სავალდებულო ინფორმაციის გამჟღავნების მიზნებისთვის, შეთავაზებული პროდუქციის ან/და მომსახურების ჯგუფები, ბაზრების ჯგუფები ან/და კლიენტთა ჯგუფები, რომლებსაც საწარმო მომსახურებას უწევს ან ESRS სტანდარტებით გათვალისწინებული სექტორები, მიიჩნევა საწარმოსთვის მნიშვნელოვნად, თუ ისინი შემდეგი კრიტერიუმებიდან ერთ-ერთს ან ორივეს აკმაყოფილებენ:

- ა) იგი შეადგენს საწარმოს ამონაგების 10 პროცენტზე მეტს;
- ბ) იგი დაკავშირებულია საწარმოს არსებით მიმდინარე/არსებულ ზემოქმედებასთან ან არსებით პოტენციურ უარყოფით ზემოქმედებასთან.

გმ 14. *ბიზნესმოდელთან* ან *ღირებულებათა ჯაჭვთან* დაკავშირებით გასამჟღავნებელი ინფორმაციის მომზადებისას, საწარმომ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი:

- ა) საკუთარი ძირითადი საქმიანობები, რესურსები, სადისტრიბუციო არხები და კლიენტთა სეგმენტები;
- ბ) საკუთარი ძირითადი *საქმიანი ურთიერთობები* და ამ ურთიერთობების ძირითადი მახასიათებლები, მათ შორის კლიენტებთან და *მომწოდებლებთან* ურთიერთობა;

- გ) სადაც საჭიროა, მისი ბიზნესსეგმენტების ხარჯების სტრუქტურა და ამონაგები, ფასს 8-ით დადგენილი ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნების შესაბამისად;
- დ) პოტენციური **ზემოქმედება, რისკები და შესაძლებლობები** საწარმოსთვის მნიშვნელოვან სექტორ(ებ)ში და მათი შესაძლო კავშირი საწარმოს **ბიზნესმოდელთან ან ღირებულებათა ჯაჭვთან**.

გმ 15. კონტექსტური ინფორმაცია საწარმოს მდგრადობის ანგარიშგების მომხმარებლებისთვის შეიძლება განსაკუთრებით აქტუალური იყოს იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოიცავს გამჟღავნებული ინფორმაცია აღმავალი ან/და დადმავალი **ღირებულებათა ჯაჭვის** ინფორმაციას. აღმავალი ან/და დადმავალი ღირებულებათა ჯაჭვის ძირითადი მახასიათებლების აღწერა და, საჭიროებისამებრ, ღირებულებათა საკვანძო ჯაჭვების იდენტიფიცირება უნდა დაეხმაროს მომხმარებელს იმის აღქმაში, თუ როგორ იყენებს საწარმო ESRS 1-ის მე-5 თავის მოთხოვნებს და როგორ ახდენს საწარმო **არსებითობის** შეფასებას ESRS 1-ის მე-3 თავის შესაბამისად. ასეთ აღწერაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს აღმავალი ან/და დადმავალი ღირებულებათა ჯაჭვის სუბიექტების ძირითადი მახასიათებლების ზოგადი ხასიათის მიმოხილვა, რომელიც მიუთითებს მათ შედარებით წვლილზე საწარმოს საქმიანობის შედეგებსა და მდგომარეობაში და ახსნის, თუ როგორ უწყობს ხელს საწარმოს ღირებულების შექმნას.

გამჟღავნების მოთხოვნა SBM-2 - დაინტერესებული მხარეების ინტერესები და ხედვები

გმ 16. კომპლექსური შემოწმების პროცესში **დაინტერესებული მხარეების** ჩართულობის შედეგად, მათი ხედვები და ინტერესები შეიძლება საწარმოსთვის მისი სტრატეგიის ან ბიზნესმოდელის ერთი ან მეტი ასპექტის თვალსაზრისით იყოს შესაფერისი. ამდენად, მათ შეუძლიათ სტრატეგიის ან ბიზნესმოდელის სამომავლო განვითარებასთან დაკავშირებით საწარმოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე მოახდინონ გავლენა.

გამჟღავნების მოთხოვნა SBM-3 - არსებითი ზემოქმედება, რისკები და შესაძლებლობები და მათი ურთიერთქმედება სტრატეგიასა და ბიზნესმოდელთან

გმ 17. როდესაც საწარმო აღწერს მის აღმავალ ან/და დადმავალ **ღირებულებათა ჯაჭვში** სად არის კონცენტრირებული არსებითი **ზემოქმედება, რისკები და შესაძლებლობები**, მან უნდა გაითვალისწინოს: გეოგრაფიული არეალი, ობიექტები, აქტივების ტიპები, საწყისი რესურსები, საბოლოო პროდუქტები და სადისტრიბუციო არხები.

გმ 18. ასეთი გამჟღავნებული ინფორმაცია შეიძლება შეეხებოდეს ერთ კონკრეტულ **ზემოქმედებას, რისკს ან შესაძლებლობას** ან არსებითი ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების ჯგუფებს აგრეგირებული სახით, იმ შემთხვევაში თუ ეს უფრო შესაბამისი ინფორმაციის წარდგენას უზრუნველყოფს და არსებით ინფორმაციას ბუნდოვანს არ ხდის.

4. ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების მართვა

გამჟღავნების მოთხოვნა IRO-2 - ESRS სტანდარტების გამჟღავნების მოთხოვნები, რომლებსაც აკმაყოფილებს საწარმოს მდგრადობის ანგარიშგება

გმ 19. მიუხედავად ESRS 1-ის მე-8 თავში - „*მდგრადობის ანგარიშგების სტრუქტურა*“ - შეტანილი, *მდგრადობის საკითხების* შესახებ ინფორმაციის წარდგენის საფუძვლისა, საწარმოს შეუძლია *გამჟღავნების* იმ *მოთხოვნების* ჩამონათვალი წარადგინოს, რომლებიც საწარმომ მდგრადობის ანგარიშგების მომზადებისას დააკმაყოფილა (იხილეთ 54-ე პუნქტი). საწარმოს შეუძლია ეს ჩამონათვალი წარმოადგინოს ზოგადი ინფორმაციის ნაწილში ან *მდგრადობის ანგარიშგების* სხვა ნაწილებში, როგორც ამას მიზანშეწონილად მიიჩნევს. საწარმოს შეუძლია გამოიყენოს შინაარსის ინდექსი, ე.ი. მდგრადობის ანგარიშგებაში გამოყენებული *გამჟღავნების მოთხოვნების* ჩამონათვალი ცხრილის სახით, რომელსაც მითითებული ექნება დოკუმენტში მისი მდებარეობა (გვერდი/პუნქტები).

გამჟღავნების მინიმალური მოთხოვნა - პოლიტიკები - MDR-P - მდგრადობის არსებითი საკითხების მართვის მიზნით შემოღებული პოლიტიკები

გმ 20. ადამიანებზე და გარემოზე ზემოქმედებას და საწარმოს *რისკებსა* და *შესაძლებლობებს* შორის ურთიერთდამოკიდებულებიდან გამომდინარე, *მდგრადობის* სხვადასხვა არსებითი *საკითხების* მიმართ შეიძლება ერთი *პოლიტიკა* გამოიყენებოდეს, მათ შორის ისეთი საკითხების მიმართ, რომელიც ერთზე მეტ თემატურ ESRS სტანდარტშია განხილული. მაგალითად, თუ ერთი პოლიტიკა ფარავს როგორც გარემოსდაცვით, ისე სოციალურ საკითხს, საწარმოს შეუძლია ეს პოლიტიკა *მდგრადობის ანგარიშგების* გარემოსდაცვითი საკითხების განყოფილებაში წარმოადგინოს. ამ შემთხვევაში, სოციალური საკითხების განყოფილებაში მან უნდა გააკეთოს ჯვარედინი მითითება გარემოსდაცვითი საკითხების იმ განყოფილებაზე, სადაც ეს პოლიტიკაა წარმოდგენილი. ანალოგიურად, საწარმოს შეუძლია პოლიტიკა წარმოადგინოს სოციალური საკითხების განყოფილებაში და შესაბამისი მითითება გააკეთოს მდგრადობის ანგარიშგების გარემოსდაცვითი საკითხების განყოფილებაზე.

გმ 21. *პოლიტიკის* მოქმედების სფეროს აღწერისას საწარმოს შეუძლია განმარტოს მისი საკუთარი ოპერაციების ან აღმავალი და დადმავალი *ღირებულებათა ჯაჭვის* რომელ საქმიანობებს ან/და სეგმენტებს ეხება იგი. საწარმოს ასევე შეუძლია ახსნას დამატებით რა ფარგლებს მოიცავს კონკრეტული თემა ან ახსნას საწარმოს გარემოებები, რომელიც შეიძლება მოიცავდეს გეოგრაფიულ არეალებს, სასიცოცხლო ციკლებს და ა.შ. ზოგიერთ შემთხვევაში, მაგალითად, თუ პოლიტიკა არ მოიცავს ღირებულებათა სრულ ჯაჭვს, საწარმოს შეუძლია მკაფიო ინფორმაცია წარმოადგინოს ღირებულებათა ჯაჭვის მხოლოდ იმ ნაწილის შესახებ, რომელსაც ეს პოლიტიკა ეხება.

გამჟღავნების მინიმალური მოთხოვნა - ქმედებები - MDR-A - მდგრადობის არსებითი საკითხებთან დაკავშირებული ქმედებები და რესურსები

გმ 22. *გამჟღავნების* ამ *მინიმალური მოთხოვნის* კონტექსტში, ძირითადი *ქმედებები* არის ის ქმედებები, რომლებსაც არსებითი წვლილი შეაქვთ საწარმოს მიერ *ზემოქმედებასთან, რისკებთან* და *შესაძლებლობებთან* დაკავშირებით დასახული მიზნების მიღწევაში. უკეთ აღქმის მიზნით,

საჭიროების შემთხვევაში, ძირითადი ქმედებები შეიძლება წარმოდგენილი იქნეს აგრეგირებული სახით.

გმ 23. ინფორმაცია რესურსების განაწილების შესახებ შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ცხრილის სახით. საწარმოს შეუძლია მასში გამოყოს კაპიტალური დანახარჯები და საოპერაციო დანახარჯები შესაბამის დროის პერიოდებზე, ასევე - რესურსები, რომლებიც გამოყენებულ იქნა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში და რესურსები, რომელთა გამოყოფა დაგეგმილია დროის კონკრეტულ პერიოდებში.

5. მდგრადობის მაჩვენებლები და სამიზნე მაჩვენებლები

გამჟღავნების მინიმალური მოთხოვნა - სამიზნე მაჩვენებლები - MDR-T - პოლიტიკებისა და ქმედებების ეფექტიანობისთვის თვალყურის დევნება სამიზნე მაჩვენებლების საშუალებით

გმ 24. გარემოზე ზემოქმედების თავიდან არიდებასთან ან შერბილებასთან დაკავშირებული *სამიზნე მაჩვენებლების* შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებისას, საწარმომ პრიორიტეტულად უნდა მიიჩნიოს ის სამიზნე მაჩვენებლები, რომლებიც უკავშირდება ზემოქმედების შემცირებას აბსოლუტური და არა ფარდობითი თვალსაზრისით. როდესაც სამიზნე მაჩვენებლები ეხება სოციალური ზემოქმედების თავიდან არიდებას ან შერბილებას, საწარმოს შეუძლია დააკონკრეტოს მათი გავლენა ადამიანის უფლებებზე, კეთილდღეობაზე ან ზემოქმედების ქვეშ მყოფი *დაინტერესებული მხარეებისთვის* მოტანილ დადებით შედეგებზე.

გმ 25. ინფორმაცია *სამიზნე მაჩვენებლების* მიღწევის პროგრესის შესახებ შეიძლება წარმოდგენილ იქნეს დეტალური ცხრილის სახით, სადაც საწარმოს შეუძლია ასახოს ინფორმაცია საბაზისო და სამიზნე მაჩვენებლის, საეტაპო მიზნებისა და წინა პერიოდებში მიღწეული საქმიანობის შედეგების შესახებ.

გმ 26. როდესაც საწარმო *პოლიტიკის* მიზნების მიღწევის პროგრესს აღწერს, გაზომვადი სამიზნე მაჩვენებლის არარსებობის პირობებში, საწარმოს შეუძლია წარმოადგინოს ის საბაზისო მაჩვენებელი, რომლის მიმართაც ხდება ამ პროგრესის შეფასება. მაგალითად, საწარმოს შეუძლია შეაფასოს *ხელფასის* გარკვეული პროცენტით ზრდა საშუალო დონის ხელფასის ზღვარზე დაბლა მყოფთათვის; ასევე საწარმოს შეუძლია ადგილობრივ საზოგადოებრივ ჯგუფებთან მისი ურთიერთობის ხარისხი შეაფასოს ამ საზოგადოებრივი ჯგუფების მიერ წამოჭრილი საკითხების რაოდენობისა და ამ ჯგუფების სასარგებლოდ გადაწყვეტილი საკითხების თანაფარდობით. საბაზისო მაჩვენებელი და პროგრესის შეფასება უნდა უკავშირდებოდეს იმ *ზემოქმედებას, რისკებსა და შესაძლებლობებს*, რომელიც იმ საკითხის *არსებობას* განსაზღვრავს, რომელსაც ეს პოლიტიკა შეეხება.

დანართი ბ: საერთო და თემატური სტანდარტების ქვეპუნქტების სია, რომელიც გამომდინარეობს ევროკავშირის სხვა კანონმდებლობიდან

წინამდებარე დანართი ESRS 2-ის განუყოფელი ნაწილია. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახულია ESRS 2-ისა და თემატური სტანდარტების ის ქვეპუნქტები, რომლებიც ევროკავშირის სხვა კანონმდებლობიდან გამომდინარეობს.

გამჟღავნების მოთხოვნა და დაკავშირებული პუნქტი	SFDR¹¹-ზე მითითება	პილარ 3¹² - ზე მითითება	„ბენჩმარკის“ რეგულაციაზე¹³ მითითება	ევროკავშირის კლიმატის კანონმდებლობაზე¹⁴ მითითება
ESRS 2 GOV-1 გენდერული მრავალფეროვნება საბჭოში, პუნქტი 21 (d)	1-ელი დანართის #1 ცხრილის მე-13 ინდიკატორი		კომისიის დელეგირებული რეგულაცია (EU) 2020/1816 ¹⁵ , დანართი II	
ESRS 2 GOV-1 საბჭოს დამოუკიდებელი წევრების პროცენტული მაჩვენებელი, პუნქტი 21 (e)			დელეგირებული რეგულაცია (EU) 2020/1816, დანართი II	
ESRS 2 GOV-4 კომპლექსური შემოწმების ანგარიში, პუნქტი 30	1-ელი დანართის #3 ცხრილის მე-10 ინდიკატორი			
ESRS 2 SBM-1 წიაღისეულ საწვავთან დაკავშირებულ	1-ელი დანართის #1 ცხრილის მე-4 ინდიკატორი	(EU) No 575/2013 რეგულაციის მუხლი 449a;	დელეგირებული რეგულაცია (EU) 2020/1816, დანართი II	

¹¹ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2019 წლის 27 ნოემბრის რეგულაცია (EU) 2019/2088 (მდგრადი დაფინანსების გამჟღავნების რეგულაცია (SFDR) - Regulation (EU) 2019/2088 of the European Parliament and of the Council on sustainability-related disclosures in the financial services sector (Sustainable Finance Disclosures Regulation) (OJ L 317, 9.12.2019, p. 1).

¹² ევროპარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის 26 ივნისის რეგულაცია (EU) No 575/2013 - Regulation (EU) No 575/2013 of the European Parliament and of the Council on prudential requirements for credit institutions and investment firms and amending Regulation (EU) No 648/2012 (Capital Requirements Regulation “CRR”) (OJ L 176, 27.6.2013, p. 1).

¹³ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 8 ივნისის რეგულაცია (EU) 2016/1011 - Regulation (EU) 2016/1011 of the European Parliament and of the Council on indices used as benchmarks in financial instruments and financial contracts or to measure the performance of investment funds and amending Directives 2008/48/EC and 2014/17/EU and Regulation (EU) No 596/2014 (OJ L 171, 29.6.2016, p. 1).

¹⁴ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2021 წლის 30 ივნისის რეგულაცია (EU) 2021/1119 - Regulation (EU) 2021/1119 of the European Parliament and of the Council establishing the framework for achieving climate neutrality and amending Regulations (EC) No 401/2009 and (EU) 2018/1999 (‘European Climate Law’) (OJ L 243, 9.7.2021, p. 1).

¹⁵ 2020 წლის 17 ივლისის კომისიის დელეგირებული რეგულაცია (EU) 2020/1816 - Commission Delegated Regulation (EU) 2020/1816 supplementing Regulation (EU) 2016/1011 of the European Parliament and of the Council as regards the explanation in the benchmark statement of how environmental, social and governance factors are reflected in each benchmark provided and published (OJ L 406, 3.12.2020, p. 1).

გამუდგენების მოთხოვნა და დაკავშირებული პუნქტი	SFDR ¹¹ -ზე მითითება	პილარ 3 ¹² - ზე მითითება	„ბენჩმარკის“ რეგულაციაზე ¹³ მითითება	ევროკავშირის კლიმატის კანონმდებლობაზე ¹⁴ მითითება
საქმიანობაში ჩართულობა, პუნქტი 40 (d) i		კომისიის განმახორციელებელი რეგულაცია (EU) 2022/2453 ¹⁶ ცხრილი 1: ხარისხობრივი ინფორმაცია გარემოსდაცვითი რისკის შესახებ და ცხრილი 2: ხარისხობრივი ინფორმაცია სოციალური რისკის შესახებ		
ESRS 2 SBM-1 ჩართულობა ქიმიკატების წარმოებასთან დაკავშირებულ საქმიანობებში, პუნქტი 40 (d) ii	1-ელი დანართის #2 ცხრილის მე-9 ინდიკატორი		დელეგირებული რეგულაცია (EU) 2020/1816, დანართი II	
ESRS 2 SBM-1 ისეთ საქმიანობებში ჩართულობა, რომლებიც დაკავშირებულია ისეთ იარაღებთან, როგორცაა ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმები, კასეტური საბრძოლო მასალები და ქიმიური და ბიოლოგიური იარაღები, პუნქტი 40 (d) iii	1-ელი დანართის #1 ცხრილის მე-14 ინდიკატორი		დელეგირებული რეგულაცია (EU) 2020/1818 ¹⁷ , მუხლი 12(1); დელეგირებული რეგულაცია (EU) 2020/1816, დანართი II	

¹⁶ 2022 წლის 30 ნოემბრის კომისიის განმახორციელებელი რეგულაცია (EU) 2022/2453 - Commission Implementing Regulation (EU) 2022/2453 amending the implementing technical standards laid down in Implementing Regulation (EU) 2021/637 as regards the disclosure of environmental, social and governance risks (OJ L 324, 19.12.2022, p.1.).

¹⁷ 2020 წლის 17 ივლისის კომისიის დელეგირებული რეგულაცია (EU) 2020/1818 - Commission Delegated Regulation (EU) 2020/1818 supplementing Regulation (EU) 2016/1011 of the European Parliament and of the Council as regards minimum standards for EU Climate Transition Benchmarks and EU Paris-aligned Benchmarks (OJ L 406, 3.12.2020, p. 17).

გამულაგების მოთხოვნა და დაკავშირებული პუნქტი	SFDR ¹¹ -ზე მითითება	პილარ 3 ¹² - ზე მითითება	„ბენჩმარკის“ რეგულაციაზე ¹³ მითითება	ევროკავშირის კლიმატის კანონმდებლობაზე ¹⁴ მითითება
ESRS 2 SBM-1 ჩართულობა თამბაქოს მოყვანასა და წარმოებასთან დაკავშირებულ საქმიანობებში, პუნქტი 40 (d) iv			დელეგირებული რეგულაცია (EU) 2020/1818, მუხლი 12(1); დელეგირებული რეგულაცია (EU) 2020/1816, დანართი II	
ESRS E1-1 2050 წლისთვის კლიმატ-ნეიტრალობის მიღწევის გარდამავალი გეგმა, პუნქტი 14				რეგულაცია (EU) 2021/1119, მუხლი 2(1)
ESRS E1-1 საწარმოები, რომლებსაც არ ეხებათ პარიზის ხელშეკრულებით დადგენილი ორიენტირები, პუნქტი 16 (გ)		(EU) No 575/2013 რეგულაციის მუხლი 449a; კომისიის განმარტებული რეგულაცია (EU) 2022/2453 ნიმუში 1: საბანკო აქტივების კრებული - კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული გარდამავალი რისკი: სექტორის, გაფრქვევების და დარჩენილი ვადის მიხედვით კავშირების საკრედიტო ხარისხი	დელეგირებული რეგულაცია (EU) 2020/1818, მუხლი 12.1 (d) - (g) და მუხლი 12.2	

გამულაგნების მოთხოვნა და დაკავშირებული პუნქტი	SFDR ¹¹ -ზე მითითება	პილარ 3 ¹² - ზე მითითება	„ბენჩმარკის“ რეგულაციაზე ¹³ მითითება	ევროკავშირის კლიმატის კანონმდებლობაზე ¹⁴ მითითება
ESRS E1-4 სათბურის აირების გაფრქვევების შემცირების სამიზნე მაჩვენებლები, პუნქტი 34	1-ელი დანართის #2 ცხრილის მე-4 ინდიკატორი	(EU) No 575/2013 რეგულაციის მუხლი 449a; კომისიის განმარტებული რეგულაცია (EU) 2022/2453 ნიმუში 3: საბანკო აქტივების კრებული – კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული გარდამავალი რისკი: შესაბამისობის მაჩვენებლები	დელეგირებული რეგულაცია (EU) 2020/1818, მუხლი 6	
ESRS E1-5 ენერჯის მოხმარება წიაღისეული წყაროებიდან, წყაროების მიხედვით დეზაგრეგირებული (მხოლოდ კლიმატის ცვლილებებზე ძლიერი ზემოქმედების მქონე სექტორები); პუნქტი 38	1-ელი დანართის #1 ცხრილის მე-5 ინდიკატორი და #2 ცხრილის მე-5 ინდიკატორი			
ESRS E1-5 ენერჯის მოხმარება და მოხმარებული ენერჯის სტრუქტურა; პუნქტი 37	1-ელი დანართის #1 ცხრილის მე-5 ინდიკატორი			

გამულაგების მოთხოვნა და დაკავშირებული პუნქტი	SFDR ¹¹ -ზე მითითება	პილარ 3 ¹² - ზე მითითება	„ბენჩმარკის“ რეგულაციაზე ¹³ მითითება	ევროკავშირის კლიმატის კანონმდებლობაზე ¹⁴ მითითება
ESRS E1-5 კლიმატის ცვლილებებზე ძლიერი ზემოქმედების მქონე სექტორებში განხორციელებულ საქმიანობებთან დაკავშირებული ენერჯის მოხმარების ინტენსივობა; პუნქტები 40-დან 43-ის ჩათვლით	1-ელი დანართის #1 ცხრილის მე-6 ინდიკატორი			
ESRS E1-6 მთლიანი 1-ელი, მე-2 და მე-3 კატეგორიების გაფრქვევები და სათბურის აირების გაფრქვევები ჯამურად; პუნქტი 44	1-ელი დანართის #1 ცხრილის 1-ელი და მე-2 ინდიკატორები	(EU) No 575/2013 რეგულაციის მუხლი 449a; კომისიის განმარტებული რეგულაცია (EU) 2022/2453 ნიმუში 1: საბანკო აქტივების კრებული – კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული გარდამავალი რისკი: სექტორის, გაფრქვევების და დარჩენილი ვადის მიხედვით კავშირების საკრედიტო ხარისხი	დელეგირებული რეგულაცია (EU) 2020/1818, მუხლები 5(1), 6 და 8(1)	
ESRS E1-6 მთლიანი სათბურის აირების	1-ელი დანართის #1 ცხრილის მე-3 ინდიკატორი	(EU) No 575/2013 რეგულაციის	დელეგირებული რეგულაცია (EU) 2020/1818,	

გამულაგნების მოთხოვნა და დაკავშირებული პუნქტი	SFDR ¹¹ -ზე მითითება	პილარ 3 ¹² - ზე მითითება	„ბენჩმარკის“ რეგულაციაზე ¹³ მითითება	ევროკავშირის კლიმატის კანონმდებლობაზე ¹⁴ მითითება
გაფრქვევების ინტენსივობა; პუნქტები 53-დან 55-ის ჩათვლით		მუხლი 449a; კომისიის განმარტებული რეგულაცია (EU) 2022/2453 ნიმუში 3: საბანკო აქტივების კრებული – კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული გარდამავალი რისკი: შესაბამისობის მაჩვენებლები	მუხლი 8(1)	
ESRS E1-7 სათბურის აირების მოცილება და ნახშირბადის კრედიტი; პუნქტი 56				რეგულაცია (EU) 2021/1119, მუხლი 2(1)
ESRS E1-9 ე.წ. „ბენჩმარკის პორტფელის“ კავშირი კლიმატთან დაკავშირებულ ფიზიკურ რისკებთან; პუნქტი 66			დელეგირებული რეგულაცია (EU) 2020/1818, დანართი II; დელეგირებული რეგულაცია (EU) 2020/1816, დანართი II	
ESRS E1-9 ფულადი ოდენობების დეზაგრეგირება მწვავე და ქრონიკული ფიზიკური რისკების მიხედვით; პუნქტი 66 (ა) ESRS E1-9		(EU) No 575/2013 რეგულაციის მუხლი 449a; კომისიის განმარტებული რეგულაცია (EU) 2022/2453; პუნქტები 46 და 47;		

გამულაგნების მოთხოვნა და დაკავშირებული პუნქტი	SFDR ¹¹ -ზე მითითება	პილარ 3 ¹² - ზე მითითება	„ბენჩმარკის“ რეგულაციაზე ¹³ მითითება	ევროკავშირის კლიმატის კანონმდებლობაზე ¹⁴ მითითება
<p>ისეთი მნიშვნელოვანი აქტივების მდებარეობა, რომელიც არსებითი ფიზიკური რისკის ქვეშ იმყოფება; პუნქტი 66 (გ).</p>		<p>ნიმუში 5: საბანკო აქტივების კრებული - კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ფიზიკური რისკი: კავშირები, რომლებიც ფიზიკურ რისკს ექვემდებარება.</p>		
<p>ESRS E1-9 საწარმოს უძრავი ქონების აქტივების საბალანსო ღირებულების დაყოფა ენერგოეფექტურობის კლასების მიხედვით; პუნქტი 67 (გ).</p>		<p>(EU) No 575/2013 რეგულაციის მუხლი 449a; კომისიის განმარტებული რეგულაცია (EU) 2022/2453; პუნქტი 34; ნიმუში 2: საბანკო აქტივების კრებული - კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული გარდამავალი რისკი: უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები - უზრუნველყოფის ენერგოეფექტურობა</p>		

გამულაგნების მოთხოვნა და დაკავშირებული პუნქტი	SFDR ¹¹ -ზე მითითება	პილარ 3 ¹² - ზე მითითება	„ბენჩმარკის“ რეგულაციაზე ¹³ მითითება	ევროკავშირის კლიმატის კანონმდებლობაზე ¹⁴ მითითება
ESRS E1-9 პორტფელის კლიმატთან დაკავშირებულ შესაძლებლობებთან კავშირის ხარისხი; პუნქტი 69			დელეგირებული რეგულაცია (EU) 2020/1818, დანართი II	
ESRS E2-4 ჰაერში, წყალსა და ნიადაგში გაშვებული თითოეული იმ დამბინძურებლის ოდენობა, რომელიც ჩამოთვლილია E-PRTR რეგულაციის (დამბინძურებლების გაშვებისა და გადაცემის ევროპის რეესტრი) II დანართში; პუნქტი 28	1-ელი დანართის #1 ცხრილის მე-8 ინდიკატორი; 1-ელი დანართის #2 ცხრილის მე-2 ინდიკატორი; 1-ელი დანართის #2 ცხრილის 1-ელი ინდიკატორი; 1-ელი დანართის #2 ცხრილის მე-3 ინდიკატორი			
ESRS E3-1 წყლის და საზღვაო რესურსები; პუნქტი 9	1-ელი დანართის #2 ცხრილის მე-7 ინდიკატორი			
ESRS E3-1 შესაბამისი პოლიტიკა; პუნქტი 13	1-ელი დანართის #2 ცხრილის მე-8 ინდიკატორი			
ESRS E3-1 ოკეანებისა და ზღვების მდგრადობა; პუნქტი 14	1-ელი დანართის #2 ცხრილის მე-12 ინდიკატორი			
ESRS E3-4 რეციკლირებული და ხელახლა გამოყენებული წყალი ჯამურად; პუნქტი 28 (გ)	1-ელი დანართის #2 ცხრილის 6.2 ინდიკატორი			
ESRS E3-4 წყლის მთლიანი მოხმარება გაანგარიშებული მ ³ -ში საკუთარი ოპერაციების წმინდა	1-ელი დანართის #2 ცხრილის 6.1 ინდიკატორი			

გამულაგების მოთხოვნა და დაკავშირებული პუნქტი	SFDR ¹¹ -ზე მითითება	პილარ 3 ¹² - ზე მითითება	„ბენჩმარკის“ რეგულაციაზე ¹³ მითითება	ევროკავშირის კლიმატის კანონმდებლობაზე ¹⁴ მითითება
შემოსავალზე; პუნქტი 29				
ESRS 2- IRO 1 - E4; პუნქტი 16 (ა) i	1-ელი დანართის #1 ცხრილის მე-7 ინდიკატორი			
ESRS 2- IRO 1 - E4; პუნქტი 16 (ბ)	1-ელი დანართის #2 ცხრილის მე-10 ინდიკატორი			
ESRS 2- IRO 1 - E4; პუნქტი 16 (გ)	1-ელი დანართის #2 ცხრილის მე-14 ინდიკატორი			
ESRS E4-2 მიწის/სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პრაქტიკა ან პოლიტიკა; პუნქტი 24 (ბ)	1-ელი დანართის #2 ცხრილის მე-11 ინდიკატორი			
ESRS E4-2 ოკეანეების/ზღვები ს მდგრადი განვითარების პრაქტიკა ან პოლიტიკა; პუნქტი 24 (გ)	1-ელი დანართის #2 ცხრილის მე-12 ინდიკატორი			
ESRS E4-2 გაუტყეურების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა; პუნქტი 24 (დ)	1-ელი დანართის #2 ცხრილის მე-15 ინდიკატორი			
ESRS E5-5 არარეციკლირებული ნარჩენები; პუნქტი 37 (დ)	1-ელი დანართის #2 ცხრილის მე-13 ინდიკატორი			
ESRS E5-5 სახიფათო ნარჩენები და რადიოაქტიური ნარჩენები; პუნქტი 39	1-ელი დანართის #1 ცხრილის მე-9 ინდიკატორი			
ESRS 2- SBM3 - S1 იძულებითი შრომის ინციდენტების რისკი; პუნქტი 14 (ვ)	I დანართის #3 ცხრილის მე-13 ინდიკატორი			

გამულაგნების მოთხოვნა და დაკავშირებული პუნქტი	SFDR ¹¹ -ზე მითითება	პილარ 3 ¹² - ზე მითითება	„ბენჩმარკის“ რეგულაციაზე ¹³ მითითება	ევროკავშირის კლიმატის კანონმდებლობაზე ¹⁴ მითითება
ESRS 2- SBM3 - S1 ბავშვთა შრომის ინციდენტების რისკი; პუნქტი 14 (ზ)	I დანართის #3 ცხრილის მე-12 ინდიკატორი			
ESRS S1-1 ადამიანის უფლებათა პოლიტიკის მხრივ ნაკისრი ვალდებულებები; პუნქტი 20	I დანართის #3 ცხრილის მე-9 ინდიკატორი და #1 ცხრილის მე-11 ინდიკატორი			
ESRS S1-1 კომპლექსური შემოწმების პოლიტიკები შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ძირითადი 1 - 8 კონვენციებით განხილულ საკითხებთან დაკავშირებით; პუნქტი 21			დელეგირებული რეგულაცია (EU) 2020/1816, დანართი II	
ESRS S1-1 ადამიანებით ვაჭრობის აღკვეთის პროცესები და ზომები; პუნქტი 22	I დანართის #3 ცხრილის მე-11 ინდიკატორი			
ESRS S1-1 სამუშაო ადგილზე უბედური შემთხვევის პრევენციის პოლიტიკა ან მართვის სისტემა; პუნქტი 23	I დანართის #3 ცხრილის 1-ელი ინდიკატორი			
ESRS S1-3 საჩივრების მართვის მექანიზმები; პუნქტი 32 (გ)	I დანართის #3 ცხრილის მე-5 ინდიკატორი			
ESRS S1-14 ფატალური შემთხვევების	I დანართის #3 ცხრილის მე-2 ინდიკატორი		დელეგირებული რეგულაცია (EU) 2020/1816,	

გამულაგების მოთხოვნა და დაკავშირებული პუნქტი	SFDR ¹¹ -ზე მითითება	პილარ 3 ¹² - ზე მითითება	„ბენჩმარკის“ რეგულაციაზე ¹³ მითითება	ევროკავშირის კლიმატის კანონმდებლობაზე ¹⁴ მითითება
რაოდენობა და სამუშაოსთან დაკავშირებული უბედური შემთხვევების რაოდენობა და მაჩვენებელი; პუნქტები 88 (ბ) და (გ)			დანართი II	
ESRS S1-14 ტრავმების, უბედური შემთხვევების, ფატალური შემთხვევების ან ავადმყოფობის გამო გაცდენილი დღეების რაოდენობა; პუნქტი 88 (ე)	I დანართის #3 ცხრილის მე-3 ინდიკატორი			
ESRS S1-16 ქალისა და მამაკაცის ანაზღაურებებს შორის სხვაობის შეუსწორებელი მონაცემი; პუნქტი 97 (ა)	I დანართის #1 ცხრილის მე-12 ინდიკატორი		დელეგირებული რეგულაცია (EU) 2020/1816, დანართი II	
ESRS S1-16 მეტისმეტად დიდი სხვაობა აღმასრულებელი დირექტორისა და ჩვეულებრივი მომუშავეების ანაზღაურებების თანაფარდობაში; პუნქტი 97 (ბ)	I დანართის #3 ცხრილის მე-8 ინდიკატორი			
ESRS S1-17 დისკრიმინაციის შემთხვევები; პუნქტი 103 (ა)	I დანართის #3 ცხრილის მე-7 ინდიკატორი			
ESRS S1-17 ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებისა და	I დანართის #1 ცხრილის მე-10 ინდიკატორი და #3 ცხრილის მე-14 ინდიკატორი		დელეგირებული რეგულაცია (EU) 2020/1816, დანართი II; დელეგირებული რეგულაცია (EU) 2020/1818	

გამულაგების მოთხოვნა და დაკავშირებული პუნქტი	SFDR ¹¹ -ზე მითითება	პილარ 3 ¹² - ზე მითითება	„ბენჩმარკის“ რეგულაციაზე ¹³ მითითება	ევროკავშირის კლიმატის კანონმდებლობაზე ¹⁴ მითითება
ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სახელმძღვანელო პრინციპების შეუსრულებლობა; პუნქტი 104 (ა)			მუხლი 12 (1)	
ESRS 2- SBM3 – S2 ბავშვთა შრომისა და იძულებითი შრომის მნიშვნელოვანი რისკი საწარმოს ღირებულებათა ჯაჭვში; პუნქტი 11 (ბ)	1-ელი დანართის #3 ცხრილის მე-12 და მე-13 ინდიკატორები			
ESRS S2-1 ადამიანის უფლებათა პოლიტიკის მხრივ ნაკისრი ვალდებულებები; პუნქტი 17	1-ელი დანართის #3 ცხრილის მე-9 ინდიკატორი და 1-ელი დანართის #1 ცხრილის მე-11 ინდიკატორი			
ESRS S2-1 ღირებულებათა ჯაჭვის მომუშავეებთან დაკავშირებული პოლიტიკა; პუნქტი 18	1-ელი დანართის #3 ცხრილის მე-11 და მე-4 ინდიკატორები			
ESRS S2-1 ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებისა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სახელმძღვანელო პრინციპების შეუსრულებლობა; პუნქტი 19	1-ელი დანართის #1 ცხრილის მე-10 ინდიკატორი		დელეგირებული რეგულაცია (EU) 2020/1816, დანართი II; დელეგირებული რეგულაცია (EU) 2020/1818, მუხლი 12 (1)	
ESRS S2-1 კომპლექსური შემოწმების			დელეგირებული რეგულაცია (EU) 2020/1816,	

გამუდგენების მოთხოვნა და დაკავშირებული პუნქტი	SFDR ¹¹ -ზე მითითება	პილარ 3 ¹² - ზე მითითება	„ბენჩმარკის“ რეგულაციაზე ¹³ მითითება	ევროკავშირის კლიმატის კანონმდებლობაზე ¹⁴ მითითება
პოლიტიკები შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ძირითადი 1 - 8 კონვენციებით განხილულ საკითხებთან დაკავშირებით; პუნქტი 19			დანართი II	
ESRS S2-4 საწარმოს აღმავალ და დაღმავალ ღირებულებათა ჯაჭვთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა საკითხები და ინციდენტები; პუნქტი 36	1-ელი დანართის #3 ცხრილის მე-14 ინდიკატორი			
ESRS S3-1 ადამიანის უფლებათა პოლიტიკის მხრივ ნაკისრი ვალდებულებები; პუნქტი 16	1-ელი დანართის #3 ცხრილის მე-9 ინდიკატორი და 1-ელი დანართის #1 ცხრილის მე-11 ინდიკატორი			
ESRS S3-1 ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპების, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის პრინციპების ან/და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სახელმძღვანელო	1-ელი დანართის #1 ცხრილის მე-10 ინდიკატორი		დელეგირებული რეგულაცია (EU) 2020/1816, დანართი II; დელეგირებული რეგულაცია (EU) 2020/1818, მუხლი 12 (1)	

გამულაგების მოთხოვნა და დაკავშირებული პუნქტი	SFDR ¹¹ -ზე მითითება	პილარ 3 ¹² - ზე მითითება	„ბენჩმარკის“ რეგულაციაზე ¹³ მითითება	ევროკავშირის კლიმატის კანონმდებლობაზე ¹⁴ მითითება
პრინციპების შეუსრულებლობა; პუნქტი 17				
ESRS S3-4 ადამიანის უფლებათა საკითხები და ინციდენტები; პუნქტი 36	1-ელი დანართის #3 ცხრილის მე-14 ინდიკატორი			
ESRS S4-1 მომხმარებლებთან და საბოლოო მომხმარებლებთან დაკავშირებული პოლიტიკა; პუნქტი 16	1-ელი დანართის #3 ცხრილის მე-9 ინდიკატორი და 1-ელი დანართის #1 ცხრილის მე-11 ინდიკატორი			
ESRS S4-1 ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებისა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სახელმძღვანელო პრინციპების შეუსრულებლობა; პუნქტი 17	1-ელი დანართის #1 ცხრილის მე-10 ინდიკატორი		დელეგირებული რეგულაცია (EU) 2020/1816, დანართი II; დელეგირებული რეგულაცია (EU) 2020/1818, მუხლი 12 (1)	
ESRS S4-4 ადამიანის უფლებათა საკითხები და ინციდენტები; პუნქტი 35	1-ელი დანართის #3 ცხრილის მე-14 ინდიკატორი			
ESRS G1-1 გაეროს კონვენცია კორუფციის წინააღმდეგ; პუნქტი 10 (ბ)	1-ელი დანართის #3 ცხრილის მე-15 ინდიკატორი			

გამულაგნების მოთხოვნა და დაკავშირებული პუნქტი	SFDR ¹¹ -ზე მითითება	პილარ 3 ¹² - ზე მითითება	„ბენჩმარკის“ რეგულაციაზე ¹³ მითითება	ევროკავშირის კლიმატის კანონმდებლობაზე ¹⁴ მითითება
ESRS G1-1 მამხილებელი პირების დაცვა; პუნქტი 10 (დ)	1-ელი დანართის #3 ცხრილის მე-6 ინდიკატორი			
ESRS G1-4 ჯარიმები ანტიკორუფციული და მექრთამეობის საწინააღმდეგო კანონების დარღვევისთვის; პუნქტი 24 (ა)	1-ელი დანართის #3 ცხრილის მე-17 ინდიკატორი		დელეგირებული რეგულაცია (EU) 2020/1816, დანართი II)	
ESRS G1-4 ანტიკორუფციული და მექრთამეობის საწინააღმდეგო სტანდარტები; პუნქტი 24 (ბ)	1-ელი დანართის #3 ცხრილის მე-16 ინდიკატორი			

დანართი გ: თემატური ESRS სტანდარტების გამჟღავნების/გამოყენების მოთხოვნები, რომელიც გამოიყენება ESRS 2-თან - „ინფორმაციის გამჟღავნების საერთო მოთხოვნები“ - ერთად

წინამდებარე დანართი ESRS 2-ის განუყოფელი ნაწილია და ისეთივე ძალა აქვს, რაც ამ სტანდარტის დანარჩენ ნაწილებს. წინამდებარე ცხრილში მოცემულია თემატური ESRS სტანდარტების მოთხოვნები, რომლებიც ESRS 2-ის გამჟღავნების მოთხოვნების გამოყენებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული.

ESRS 2-ის გამჟღავნების მოთხოვნა	დაკავშირებული პუნქტი ESRS სტანდარტში
GOV-1 ადმინისტრაციული, მართვისა და საზედამხედველო ორგანოების როლი	ESRS G1 <i>საქმიანი ქცევა</i> (პუნქტი 5)
GOV-3 მდგრადობასთან დაკავშირებული საქმიანობის შედეგების ინტეგრირება წამახალისებელ სქემებში	ESRS E1 <i>კლიმატის ცვლილება</i> (პუნქტი 13)
SBM-2 დაინტერესებული მხარეების ინტერესები და ხედვები	ESRS S1 <i>საკუთარი სამუშაო ძალა</i> (პუნქტი 12) ESRS S2 <i>ღირებულებათა ჯაჭვის მომუშავეები</i> (პუნქტი 9) ESRS S3 <i>ზემოქმედების ქვეშ მყოფი საზოგადოებრივი ჯგუფები</i> (პუნქტი 7) ESRS S4 <i>მომხმარებლები და საბოლოო მომხმარებლები</i> (პუნქტი 8)
SBM-3 არსებითი ზემოქმედება, რისკები და შესაძლებლობები და მათი ურთიერთქმედება სტრატეგიასა და ბიზნესმოდელთან	ESRS E1 <i>კლიმატის ცვლილება</i> (პუნქტები 18 - 19) ESRS E4 <i>ბიომრავალფეროვნება და ეკოსისტემები</i> (პუნქტი 16) ESRS S1 <i>საკუთარი სამუშაო ძალა</i> (პუნქტები 13 - 16) ESRS S2 <i>ღირებულებათა ჯაჭვის მომუშავეები</i> (პუნქტები 10 - 13) ESRS S3 <i>ზემოქმედების ქვეშ მყოფი საზოგადოებრივი ჯგუფები</i> (პუნქტები 8 - 11) ESRS S4 <i>მომხმარებლები და საბოლოო მომხმარებლები</i> (პუნქტები 9 - 12)
IRO-1 არსებითი ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების გამოვლენისა და შეფასების პროცესის აღწერა	ESRS E1 <i>კლიმატის ცვლილება</i> (პუნქტები 20 - 21) ESRS E2 <i>დაბინძურება</i> (პუნქტი 11) ESRS E3 <i>წყალი და საზღვაო რესურსები</i> (პუნქტი 8) ESRS E4 <i>ბიომრავალფეროვნება და ეკოსისტემები</i> (პუნქტები 17 - 19) ESRS E5 <i>რესურსების გამოყენება და ცირკულარული ეკონომიკა</i> (პუნქტი 11) ESRS G1 <i>საქმიანი ქცევა</i> (პუნქტი 6)